# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 250 — სამშაბათი, 10 ნოემბერი 1909 წ. — № 250



განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე და საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. [illegible] დავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ხება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



ვასილ დიმიტრის ძე, მღვ. დიმიტრი იოსების ძე, მართა ლევანის ასული, ვლადიმერ დიმიტრის ძე აბდუშელიშვილები, ქეთო გუგუშვილისა, ლევან ვახტანგის ძე, ალექსანდრა (ქანია) იოსების ასული, ალექსანდრე და ელისაბედ ლევანის ძე და ასული ჩხეიძენი, ანეტა ლევან ს ასული მაჭავარიანისა და კნ. მათიკო ლევანის ასული აბაშიძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—საყვარელ მეუღლის, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე—ძვირფას რძლის, მეექვსე და მეშვიდე—დაუვიწყარ შვილის, ხოლო დანარჩენნი დის

## მარიამ (მარო) ლევანის ასულის აბდუშელიშვილისას.

გამოსვენება საკუთარ სახლიდან ს. ბეინევს (შორაპნის მაზრა), 11 ნოემბერს დილის 10 საათზე. დაკრძალვა იმავე დღეს საგვარეულო სასაფლაოზე ს. ითხვის. (1—ფ.—1)



მაკრინე ჩაკვეტაძის ასული ჩირაძისა და შვილი მისი კოლია ნიკიფორეს ძე სალარაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—უსაყვარლეს შვილის, ხოლო უკანასკნელი—დაუვიწყარ და უძვირფასეს ძმის ქუთაისის მეორე გილდის ვაჭრის

## თადეოზ ნიკიფორეს ძის სალარაძისას,

რომლის დაკრძალვა დანიშნულია 10 ნოემბერს, სამშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე.



## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ხუთშაბათს, 12 ნოემბერს, სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ ქ-ნ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## ორი ობოლი

მელოდრამა 5 მოქმედებად თარგ. ა. ცაგარლისა.

წარმოდგენაში მონაწ. მიიღებს სექციასთან არსებულ სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.**

ა ნ ო ნ ს ი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათ საღამოს, 21 ნოემბერს. წარმოდგენილი იქნება „ღალატი" სუმბათაშვილისა და სხვა.

დაბეჯითებით ვსთხოვთ საზოგადოებას სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. პაწარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში, იმედია, თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **ხვიჩელი.**



**წარმოდგენა № 15. ქართული თეატრი წარმოდგენა № 15.**

**აბონიმენტი 5.**

ხუთშაბათს, 12 ნოემბერს, 1909 წ. ქართულ დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად განახლების შემდეგ პიესა ბარეტისა.

## ახალი მოძღვრება

დრამა 4 მოქმედებად და 7 სურათად

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი; ბ. ნე. ბიჭიძისა, მ. ქილარჯიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; პ. მღთაძე; ბ-ნნი: ვ. გამყრელიძე, ა. ბედევანოვი, ი. გრიშაშვილი, ნ. გვარამძე, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხამმელი, კ. მესხი, ვ. მურვანიშვილი, ვ. მატარაძე; ი. ქივიძე, შ. საღაროვი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-დე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსად. ახალი პიესა პ. გოთუასი „პარტიის კაცი"?!

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**



## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**ხობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (100—ნ.—34)



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—201)



**ექიმი ლ. ნ. ოჰანჯანოვი** ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის პროსპ.). (100—ზალ.—56)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი** არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ. შედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მოგლ., მონუმენტის მეხ. N 5, ს. მაფრანოვისა, ბუღ. გვერდზე. (100—ზალ.—42)



◀ გაზეთ „დროების" რედაქციის კანტორაში ▶

## მიიღება ხელის მოწერა

Bâton-ის წიგნზე:

## „ერი და კაცობრიობა, განხილული სოციოლოგიური მხრით"

დაახლოვებით 250—300 გვ. ✦ ხელის მომწერთათვის ფასი 60 კ.

დაბეჭდვისა და გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება.

გამომცემელი **მ. ხუციშვილი.** (10—2)



## გამგეობა

ტფილისის სათავ.-აზ. საად.-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ

## რუსული ორთქლის აბანო

(აბოევისეული) რიყის ქუჩა, საკომერციო სასწავლებლის პირდაპირ

## იძლევა იჯარით და იყიდება

(5—გ.ფ.—5)



**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—291)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—47)



## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—55)



**ექიმი სპეციალისტი ქ. ქუთაისში ჩარექოვი** იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა) აბულაძის მეზობლად, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს., საღამ. 5—6 ს. (25—ფ.—25)



**ქუთაისში**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიშნი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—39)



**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—ნ.—102)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მღვდ ქიქოძის სახლი. (0—უ.—44)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)



## იყიდება

იაფად **საავარაკო ადგილები,** თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს.** (50—ნ.—42)



**ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი** იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—კვ.—99)


# ახალი ამბავი

✦ **სამხედრო წესების მოხსნა ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე.** გაზეთი „ბაკუ" სწერს; „სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ 16 ნოემბერს ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე სამხედრო წესები მოიხსნება. რკინის გზის უფროსი გენერალ-მაიორი ნეიგებაუერი ოდესაში ბრიგადის უფროსად დაინიშნება, ხოლო იმის ადგილს აძლევენ ინჟენერ აკორენკოს, რომელმაც 7 ნოემბერს, ტფილისში მიმავალმა, ბაქოზე გაიარა". აკორენკო წინად ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მსახურებდა.

✦ **ბანკზე დარჩენილ მამულების მართვა-გამგეობა.** როგორც „ზაკ." გადმოგვცემს, 6 ნოემბერს საღამოთი ტფ. სათავად-აზნაურო ბანკში მომხდარა შეერთებული სხდომა ამ ბანკის გამგეობისა და საადგილ-მამულო კომისიისა. სხდომას დაუდგენია, ბანკზე დარჩენილ მამულების მართვა-გამგეობა გადაეცეს საადგილ-მამულო კომისიას.

✦ **უფროს ასოთ-ამწყობის მოკვლა.** 7 ნოემბერს, საღამოს 5½ საათზე, წყნეთის ქუჩაზე რევოლვერით მოჰკლეს ქართველთა-ამხანაგობის უფროსი ასოთ-ამწყობი მაკარ გარშენინი, ვიღაც შეიარაღებულმა უცნობებმა ექვსჯერ ესროლეს რევოლვერი და იქვე მოჰკლეს. პოლიციის ცნობით, მკვლელობა პირად შურის ძიებით ყოფილა გამოწვეული. ეჭვით შეიპყრეს იოსებ კირკაშიძე, გიორგი მაისურაძე და გრიგოლ ოჰანეზოვი.

✦ **ფუნიკულერის მიმოსვლა ზამთარში.** როგორც ვიცით, ტფ. ფუნიკულერის მიმოსვლა 15 ნოემბრიდან სწყდება გაზაფხულამდის. მაგრამ თოვლის მოსვლის დროს ბევრნი არიან ხოლმე მოსურნენი მაღლიდან გადმოხედვისა და ხშირად ფუნიკულერის გამგეობასაც მიმართავს ხოლმე თხოვნით, რომ რომელსამე დღეს დანიშნოს მიმოსვლა. ამის გამო ფუნიკულერის გამგეობას დაუდგენია გამართოს მოლაპარაკება ამის შესახებ ქალაქის გამგეობასთან და კვირაობით მოაწყოს მიმოსვლა.

✦ **ეკლესიის კურთხევა.** დღეს აკურთხებენ ახლად განახლებულ ყოფილ კარის წმ. გიორგის ეკლესიას (ეგზარხოსის მოედანზე). წირვას და კურთხევის წესს შეასრულებს ეპისკოპოზი ალავერდისა.

✦ **ბაღი მამადავითის გორაზე.** ფუნიკულიორის გამგეობა სცდილობს მამადავითის მთაზე გააშენოს ბაღი, ხეებიც ჩაჰყარა, მაგრამ უწყლობისა გამო ვერა ხეირობს. ფუნიკულიერიდან ოთხ ვერსზე ყოფილა კარგა მოზდილი წყარო, რომელიც შეიძლება გამოიყვანონ. ამის შესახებ ფუნიკულერის გამგეობას ჰქონია მჯელობა და დაუდგენია, ხარჯთ-აღრიცხვისა და პროექტის შედგენა მიანდოს ფუნიკულერის დირექტორს ს. ჭრელაშვილს და ინჟ. მუხარინსკის.

✦ **მუხრანის ხიდი.** ქალაქის სატეხნიკო კომისიამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა განცხადება მუხრანის ხიდის მოიჯარადრეებისა, რომელნიც ითხოვდნენ უკან დაბრუნებას ქალაქის გამგეობაში ბედ შეტანილ ფულისას. კომისიამ დაადგინა, დაუბრუნოს ფული პატრონებს, გარდა 500 მანეთისა.

✦ **ახალი ტიპის ვაგონები.** დღეს, 2 ნახ. საათზე, ტფ. ქალაქის საბჭოს კომისიის თანადასწრებით ერევნის მოედნაზე მოხდება გამოცდა ტრამვაის ახალ ვაგონებისა. ეს ვაგონები საზღვარ-გარეთის ტიპისაა. შესავალი შუაზეა.

✦ **ჟურნალისტთა კრება.** კვირას, 8 ნოემბერს, მოხდა საზოგადო კრება ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოებისა. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა მ. ა. ჯაბარი. მიიღეს ხუთი ახალი წევრი. კრება შეუდგა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევას. გამგეობაში არჩეულ იქმნენ: გ. ო. გრუზენბერგი, მ. ა. ჯაბარი, გ. ნ. დიასამიძე, დ. ი. სპასკი და პ. პ. გელეიშვილი. ხოლო სარევიზიო კომისიაში—ი. მ. დონდაროვი, ვ. ვ. ელიავა და ა. მ. სალორიძე. მერე კრება შეუდგა საზოგადოების წესდების პარაგრაფების განხილვას და ზოგიერთი ცვლილება შეიტანა. სხვათა შორის ის პარაგრაფი წესდებისა, რომელიც ამბობს, რომ საზოგადოების წევრმა გადაიხადოს თავის შემოსავლიდან 2%-ი სულ უარჰყო და დაადგინა, წევრმა გადიხადოს მხოლოდ საწევრო ფული სამი მანეთი. შემდეგ კრებამ მოისმინა კომისიის მოხსენება. მოხსენება შეეხებოდა შემდეგ ინციდენტს: სახაზინო თეატრის საოპერო არტისტთა ამხანაგობას შეუწირავს ჟურნალისტთა საზოგადოებისათვის ასი მანეთი. მაგრამ საზოგადოებას ეს შეწირულება ძალდატანებულ შეწირულებად უცვნია და არ სდომებია მისი მიღება. ამაზე გაზეთში წერილიც დაუწერია ეიხნვალდს, სადაც უთქვამს, არავითარ ძალდატანებით არ მომხდარა ეს შეწირულებაო. ამის შემდეგ საზოგადოების გამგეობას აურჩევია კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია ეს ინციდენტი. კომისიამ თავის მოხსენებაში გამოსთქვა, რომ ეს შეწირულება ძალდატანებით არ მომხდარაო. კრებამ ეს ინციდენტი გამორკვეულად სცნო და დაადგინა, მიიღოს შემოწირულება და მადლობაც გამოუცხადოს საოპერო არტისტთა ამხანაგობას, კრებამ დროს უქონლობისა გამო ვერ მოასწრო ბევრ მიმდინარე საკითხის გარჩევა და გადასდო შემდეგ კრებისათვის.

✦ **პოლიცმეისტრის სამმართველოს კურთხევა.** კვირას, 8 ნოემბერს, აკურთხეს პოლიცმეისტრის სამმართველოს ახალი სადგომი ველიამინოვსკის ქუჩაზე. კურთხევას დაესწრენ: გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, პროკურორი, ჟანდარმთა სამმართველოს წარმომადგენელი და წევრები ქალაქის გამგეობისა. ბ-ნმა ა. ხატისოვმა სიტყვა წარმოსთქვა.

✦ **მოუსავლობის გამორკვევა.** ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში წელს თითქმის ყველგან მოუსავლობაა. მოსალოდნელია დიდი შიმშილობა. ამის გამო ნამესტნიკის კანცელარიას წინადადება მიუცია საგუბერნიო და სამაზრო მოხელეთათვის, განსაკუთრებულ კომისიების საშუალებით გამოარკვიონ ამ გუბერნიების მცხოვრებთა ეკონომიური მდგომარეობა. შეაგროვონ ცნობები მოუსავლობის შესახებ და რაც შეიძლება მალე წარუდგინონ ხსენებულ კანცელარიას.

✦ **დირექტორის გარდაცვალება.** გუშინ, 9 ნოემბერს, მესამე ვაჟთა გიმნაზიაში სწავლა არა ყოფილა ხსენებულ გიმნაზიის დირექტორის ივ. ნ. გოროდენსკის გარდაცვალებისა გამო.

✦ **ახალი რუსული გაზეთი.** კვირას, 8 ნოემბერს, ახალი რუსული ყოველ დღიური გაზეთი გამოვიდა ტფილისში სახელად „ნაშ კრაი", გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი ვლ. ბ. თავართქილაძეა.

✦ **უპასპორტოების შეპყრობა.** საერთო ჩხრეკის დროს მეცხრე უბანში პოლიციამ შეიპყრო 42 უპასპორტო კაცი.

✦ **საკვირაო სკოლა.** 17 ნოემბერს „ტფ. კრუჟოკის" სადგომში გაიმართება წარმოდგენა მეორე საქალებო საკვირაო სკოლის სასარგებლოდ.

✦ **თავის მოკვლა.** სოფ. წინარეხში (გორის მაზრა), როგორც გვატყობინებენ, გიორგი პავლეს ძეს ახვლედიანს 3 ნოემბერს თავის ძმაკაცებში დროება გაუტარებია და დაულევია. როცა სახლში მისულა, დედის სიტყვით, ოთახში დაფიქრებულს გაუვლ-გამოუვლია, მერე გარეთ გამოსულა. რევოლვერის ხმაზე დედა გარეთ გამოვარდნილა და დაუნახავს თავისი შვილი სისხლში მოსვრილი. როგორც გამოირკვა, თითონ დაუჭრია თავი. გიორგის ტყვია გულში აქვს მორტყმული და ზურგში გასული. იგი 4 ნოემბერს გარდაიცვალა.

✦ **მკვლელობა.** როგორც თიანეთის მაზრის სოფ. მატანიდან გვწერენ, პირველ გიორგობისთვეს შუაღამისას ამრო ლომაურს მოუკლავს იოსებ ქიქიაშვილი.

✦ 8 ნოემბერს ანდრეევის ქუჩაზე მეეზოვე ტურჩანკომ ნახა ჩვრებში გამოკრული ბავშვი, მამობრიკას სქესისა, ბავშვი ერთი თვისა ყოფილა. პოლიციამ ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნა.

✦ 8 ნოემბერს დავით ორიგაშვილი, სოფ. მეჯვრისხევის მცხოვრები, გამოეკიდა ტრამვაის ვაგონს, მოეკიდა ბოლოდან, მაგრამ როდესაც დაინახა ვატმანი თედოშვილი, გაუშვა ხელი გაქანებულ ვაგონს და დაეცა დედამიწაზე. ორიგაშვილს მთელი სხეული დაუშავდა. იგი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

---

**შეცდომის გასწორება.** „დროების" მე 246 ნომერში მოთავსებულ ფელეტონის უკანასკნელ სვეტში, მე-28 სტრიქონში ქვევიდან, დაბეჭდილია: „არ არის სოციალური ერთობა", უნდა იყოს „არ არის ზნეობრივი ერთობა".

# ტფილისი, 10 ნოემბერი

დღე არ გაივლის ისე, რომ გაზეთებში ცნობა არ იყოს ქართველ მემამულეების მიერ მიწის გაყიდვის შესახებ. ზოგი სახელმწიფო ბანკში აგირავებს მამულს, ზოგი ბანკშიაც აგირავებს და კერძოდაც სცდილობს მამულის ერთის ნაწილის გაყიდვას. მყიდველი ამ უკანასკნელ ხანებში უმეტესს შემთხვევაში რუსის გლეხობაა. რუსებს მოსდევენ ოსები. ქართველ გლეხებს კი სულ უკანასკნელი ადგილი უჭირავთ. და თუ ეს ასე გაგრძელდა, ვერც კი გავიგებთ, ისე შეიცვლება ამ მოკლე ხანში ამიერკავკასიის ეთნოგრაფიულ მოსახლეობის რუკა. უნდა აღვნიშნოთ, რომ პროცესსი მიწის მობილიზაციისა საკვირველის სისწრაფვით სწარმოებს და ჩვენ, ქართველები, გულხელ დაკრეფილნი შევყურებთ ჩვენს დაღუპვას და გადაშენებას. უმეტესობას არც კი ესმის, თუ რა მოელის საქართველოს ახლო მომავალში, უმცირესობა კი, რომელსაც კარგად აქვს გათვალისწინებული საფრთხე, ცრემლებსა ღვრის, დასტირის სულთმობრძავ მამულს და თითსაც არ ანძრევს საქმის გამოსაკეთებლად. და ჩვენს გულგრილობასა და წუწუნის დროს კი საქართველოს ტერიტორია მცირდება, პატარავდება და იკუწება. დროა, მკითხველო, თუ არა თავი დავანებოთ წუწუნს და ოხვრას და ცოტათი მაინც გამოვიჩინოთ თვით-მოქმედების უნარი და სურვილი მოქმედებისა?

ამბობენ, ამ მოვლენის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭიროა საგლეხო ბანკის დაარსება. ბანკის დაარსებისათვის კი ფული არა გვაქვს. სხვა რამ საშუალება კი გარემოებას ვერ გამოაკეთებსო. ბანკის დაარსებას, რა თქმა უნდა, უპირველესი მნიშვნელობა აქვს ამ საქმეში. ფულიც იშოვება, თუ ამ საქმეში მხნეობა და გასჯა გამოიჩინა ჩვენმა საზოგადოებამ. მაგრამ, ვთქვათ, დღესდღეობით, ბანკის დაარსება ვერ მოხერხდა. ნუ თუ სხვა საშუალება არა აქვს საზოგადოებას და ხალხს თავისი ტერიტორია დაიცვას და გადაარჩინოს ქართველთა კულტურა გადაგვარებისაგან? ჩვენ გვგონია, რომ არის, და ჩვენი ინტელიგენციის, განსაკუთრებით სოფლად გაფანტულ ინტელიგენციის დემოკრატიულ ნაწილის წინაშე ამაზე დიდი და მნიშვნელოვანი საზრუნავი საქმე დღეს არ არის.

მიწის მობილიზაციის საქმეში თავდაპირველად ცნობებია საჭირო, სად რა იყიდება, რა პირობებში და ვინ არის მყიდველი. ამგვარი ცნობები ხშირად იბეჭდება ჩვენს გაზეთშიაც. მაგრამ ის, რაც იბეჭდება, სინამდვილეს არ ჰსახავს, რადგან ნამდვილად გაცილებით მეტ მემამულეს აქვს განზრახვა მამულის გაყიდვისა და გაცილებით მეტი შემთხვევაა მამულისა არა-ქართველებზე გასაღებისა. გარდა ცნობებისა, საჭიროა გლეხებზე მოქმედება, მათის ინიციატივის აღძვრა და მით დახმარება როგორც მემამულეებთან მოლაპარაკების დროს, ისე ფულის შოვნაში. ყველა ამაზე გვეტყვიან, ამ საქმის გაძღოლა სპეციალურად დაარსებულ დაწესებულებას შეუძლიან და სხვას არავისაო. ამ ხასიათის დაწესებულება უკვე არსებობს. ეს არის საადგილ-მამულო კომისია დეპუტატთა საკრებულოსთან რომ არსებობს. მაგრამ საქმეც ის არის, რომ, თუმცა პრინციპიალურად არა გვეთქმის რა ამ კომისიის წინააღმდეგ, არ შეგვიძლიან არა ვთქვათ, რომ მისი მოქმედება მეტად კარ-ჩაკეტილია. მართალია, კომისია თავის მოქმედების ანგარიშებსა ჰბეჭდავს და ამ მოქმედების შესახებ სათავად-აზნაურო კრებებზე სჯა-ბაასობენ კიდევაც, მაგრამ ბევრნი, თავად-აზნაურობის გარეშე მდგარი წრეები, არც ამ ანგარიშს იცნობენ, არც ამ კომისიას. ამისი ბრალი კომისიას ედება, რომელიც გაზეთის საშუალებით არავითარ პროპაგანდას არ ეწევა და ყოველივეს შინაურულად აწყობს და არიგებს.

ჩვენ არ გვინდა შევაფერხოთ საადგილ-მამულო კომისიის მოქმედება იმდენად, რამდენადაც იგი მართლა ეხმარება მემამულეთა მიწების გლეხებზე გადასვლას. ხოლო ვამბობთ, ამ კომისიის შემყურე არ უნდა იჯდეს გულხელ-დაკრეფილი ჩვენი ინტელიგენციის ფართო წრეები. ჩვენის აზრით, ყველგან პროვინციებში ადგილობრივ ინიციატორთა მეთაურობით უნდა დაარსდეს პატარა წრეები. ამ წრეების მიზანი იქნება, ნამდვილ ცნობების შეკრება, მემამულეებთან მოლაპარაკება და გლეხებში პროპაგანდა. ეს პროპაგანდა ძლიერ საჭიროა. ზოგი მემამულე მართალია იმაში, რომ გლეხებს ხანდისხან, როდესაც საშუალებაც აქვთ, არა სურთ მემამულეებისაგან მიწის ყიდვა, რადგან ჰგონიათ, რომ ეს მიწა დღეს თუ ხვალ მაინც მათვე დარჩებათ. რევოლუციის დროს ამგვარ აზრებს ნიადაგი ჰქონდა. კერძო საკუთრების მცველ ორგანოების დასუსტებასთან ერთად მაშინ გამოირკვა შესაძლებლობა მიწის მობილიზაციისა გლეხთა ხელში უსასყიდლოდ. მაგრამ ამგვარ შესაძლებლობას დღევანდელ პირობებში არავითარი საფუძველი აღარ აქვს. ჩვენი ხალხის წინაშე კი ამგვარი დილემმაა—ან ტერიტორიის დაკარგვა, ან ამ ტერიტორიის შერჩენა ფულის შეწევნით. ან ერთი ან მეორე უნდა ირჩიოს ხალხმა. და სწორედ ეს უნდა შეაგნებინონ ხალხს პროვინციებში დაარსებულმა წრეებმა. ამ წრეების მოქმედება ნაყოფიერი იქნება, თუ რომ თვით-მოქმედების უნარი აღძრეს გლეხობაში, მამულის შეძენის სურვილი დაუბადეს მას და შეძლებისა დაგვარად, შუამდგომლობაც გასწიეს მსყიდველთა და გამყიდველთა შორის.

ამ წრეების მოქმედების გაერთიანებისთვის საჭიროა აგრეთვე ცენტრალური ორგანოს, ცენტრალურ ბიუროს დაარსება. მაგრამ უსახსრობისა გამო ჯერ ხნობით საძნელო იქნება ამ საქმის განხორციელება. ხოლო, ჩვენის აზრით, ამ ორგანოს მაგიერობას, პირველ ხანში მაინც, ქართული ჟურნალ-გაზეთობაც გასწევს. შუამავლობას გაზეთი ვერ იკისრებს. ხოლო შეიძლება გახდეს ცენტრად იმ ცნობებისა და მასალებისა, სადაც შეგროვდება, შემუშავდება და გამოქვეყნდება პროვინციალურ წრეების ნამუშევარი და ნამოღვაწარი.

ყოველივე, რაზედაც ჩვენ ჩამოვაგდეთ აქ ლაპარაკი, პალიატივია უმნიშვნელო შედარებით იმ დიდ განსაცდელისა, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას. მაგრამ სანამ დიდ რამეს მოვაწყობთ და სანამ შევძლებთ და არსებითად გაუმკლავდებით საფრთხეს, პატრა საქმიდან დავიწყოთ, ავამოძრავოთ საზოგადოების მოქმედება, ნუ ვიქნებით უმოქმედონი იმის მოლოდინში, რომ განგება იზრუნებს ჩვენის საქმეების მოწესრიგებაზე. ამოძრავებულ თვითმოქმედებას ზრდის და გაძლიერების უნარი აქვს. მოქმედების ახალ ფორმას იგი თითონ გამონახავს შემდეგში. თავდაპირველად კი ამ ენერგიის და თვითმოქმედების ამოძრავებაა საჭირო.

პროვინციებში ჩვეულებრივად ტფილისისაკენ აქვთ მიპყრობილი თვალები და ხსნას გაჭირვებიდან ხშირად ტფილისიდან მოელიან, უსაფუძვლოდ მოელიან. ჩვენ კი გვგონია, რომ ჩვენს პროვინციებში იმოდენა ძალღონეა გაფანტული, რომ ამ ძალღონის ამოძრავებით დიდი საერო საქმე გაკეთდება. ჩვენ ველით ინიციატივას პროვინციიდან და ჩვენი გაზეთი ყოველგვარ მის ხელში არსებულ შემწეობას აღმოუჩენს ამ ინიციატივის ნაყოფიერ მოქმედებისათვის.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ ადგილობრივი სამოსწავლო მთავრობა დიდს მუყაითობას და უნარს იჩენს ადგილობრივ ენების სკოლებიდან განდევნის საქმეში. იქ, სადაც ტრადიციით ადგილობრივ ენების სწავლებას ერთი გაკვეთილი მაინცა ჰქონდა დათმობილი, სამოსწავლო მთავრობა ამ გაკვეთილს ან აუქმებს, ან მეექვსე საათს უთმობს. მაგრამ ამით არ ათავებს სამოსწავლო მთავრობა თავის საიერიშო პოლიტიკას, უფრო შორს მიდის. სამღვთო წერილს ქალაქის სასწავლებლებში ადგილობრივ ენაზე ასწავლიდნენ. ეხლა სახალხო სკოლების დირექციას მიუწერია—ოთხ განყოფილებიან სასწავლებელში ათის ნაცვლად სამღვთო სჯულს რვა გაკვეთილი უნდა ჰქონდეს დათმობილიო. ამ მოწერილობის გამო 2 ნოემბერს მოხდა კრება ტფ. ქალაქის სასწავლებლების მასწავლებლებისა.

გაზ. „ნოვაია რეჩი“-ს კვირის ნომერში „კრების წევრი“ სწერს:

„ამ ბოლო დროს ლაპარაკობდნენ, რომ დირექციამ იმიტომ კი არ შეამცირა სამღვთო სჯულის გაკვეთილები, რომ სამღვთო სჯულის პროგრამის გავლა 8 გაკვეთილის დათმობითაც შეიძლებოდეს, არა, ეს განკარგულება გამოწვეულია იმით, რომ, თანახმად ნამესტნიკის მიერ მოწონებულ პროგრამისა, 1905 წლიდან სკოლებში სამღვთო სჯულის სწავლება უნდა სწარმოებდეს ადგილობრივ ენებზე. ასეთი მდგომარეობა ხელს შეუწყობდა სამშობლო ენის უკეთ შეთვისებას. აშკარაა, დირექცია ვერ შეურიგდებოდა ამას და ეცდებოდა ან სამღვთო სჯულის სწავლება ძველებურად ისევ რუსულ ენაზე ყოფილიყო, ან ძლიერ შეემცირებინა გაკვეთილები“.

ავტორის მოსაზრება სწორი უნდა იყოს. დირექცია აგრე რიგად თავს არ შეიწუხებდა, სამღვთო სჯულის გაკვეთილებს არ შეამცირებდა, თუ ეხლანდელი მდგომარეობა შეიცვლებოდა და საქალაქო სასწავლებლებში სამღვთო სჯულის სწავლება რუსულ ენაზე იქნებოდა.

როგორც გადმოგვცემს ავტორი, კრებას ერთხმად დაუდგენია:

„ვთხოვოთ ქალაქის გამგეობის სამოსწავლო კომისიას, იშუამდგომლოს დირექციის წინაშე, ნუ შეამცირებს სამღვთო სჯულის გაკვეთილებს... კრება დაიშალა იმ ღრმა რწმენით, რომ სამღვთო სჯულის გაკვეთილების შემცირება დირექციის მიერ ახალი საშუალებაა სამშობლო ენის განდევნისათვის, რომ ეს სამღვთო სჯულისათვის კი არ მოახდინეს, არც სხვა საგნების უკეთ დაყენებისათვის, ეს ჩაიდინეს იმიტომ, რომ სამშობლო ენას გამოაცალონ ერთი უმთავრესი ქვაკუთხედი“.

* *

მოგვივიდა 1-ლი № სტამბოლში გამოსულ რუსულ გაზეთისა „სტამბულსკაია ნოვოსტი“. ოსმალეთის სატახტო ქალაქში ყველა უმთავრეს ევროპიულ ენაზე გამოდის გაზეთი, მხოლოდ რუსულზე არ იყო და ახლა „სტამბ. ნოვ.“-მ უნდა შეავსოს ეს ნაკლი. გაზეთს მიზნად აქვს როგორც ოსმალეთის, ისე საერთოდ აღმოსავლეთის ცხოვრებას ადევნოს თვალყური და ემსახუროს საზოგადოთ აღმოსავლეთის აღორძინების საქმეს. რედაქცია შესდგება ოსმალთა საუკეთესო ჟურნალისტების, ლიტერატორებისა და პოლიტიკურ მოღვაწეების წარმომადგენლებისაგან, უმთავრესად ახალგაზდა ოსმალთა პარტიისა. ეს გარემოება ფრიად საინტერესოდ ჰქმნის ამ გაზეთს ჩვენთვის, რადგან შეძლებას გვაძლევს ოსმალეთის ცხოვრება-ვითარებას, მის ინტელიგენციის პოლიტიკურ აზროვნებასა და განზრახვებს გავეცნოთ.

პირველ №-ში (გაზეთი ყოველ კვირეულია და სურათებიანი) მოთავსებულია საინტერესო წერილები ოსმალეთის ცნობილ მწერალთა და პოლიტიკოსთა: ჯელალედდინის, ჯავად-ბეის, ეკრემ-ბეის, ახმედ საიბ-ბეისა და სხვათა. ჯელალედდინი არკვევს ოსმალეთის თანამედროვე მდგომარეობას და გვიხმარტავს ახალგაზდა ოსმალთა პოლიტიკას; ჯავად-ბეის ეკუთვნის დასაწყისი დიდად საყურადღებო წერილისა: „ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტი და ეროვნული საკითხი“; ახმედ-ბეი იწყებს საინტერესო ისტორიულ მონოგრაფიას „როგორ მოვიპოვეთ კონსტიტუცია“; არის აგრეთვე ნიმუში ოსმალურ პოეზიისა: ეკრემ ბეის ლექსი, პროზად გადმოთარგმნილი, ხოლო შემდეგ №-დან გვპირდებიან გამოჩენილ ბელეტრისტის ხალიდე სალიხის (ქალია) მოთხრობის ბეჭდვას...

ჯავად ბეი არკვევს ახალგაზდა ოსმალთა უმრავლესობის აზრსა ეროვნულ საკითხზე; იგი უნიონისტია და ოსმალეთის ერთობა—განუყოფლობის აზრს იცავს მტკიცედ. შემდეგში რედაქცია გვპირდება ავტონომისტთა აზრის გაცნობასაც. ჯავად-ბეი პირველ წერილში გვიხატავს ეროვნულ საკითხის უდიდეს სიძნელეს ოსმალეთში. ერთის მხრით, ჩვენ დარწმუნებულნი ვართო, ამბობს ის, რომ ოსმალეთის ხსნა მის ერთობაშია, [illegible] ვიცით, რომ ყოველ ერს ოსმალეთში თავისი [illegible] აქვს, თავისი იდეალები და იმედები, თავისი კულტურა და ენაო. ოსმალეთის უბედურმა ისტორიამ ხელი შეუწყო ამ ერთა სეპარატისტულ მისწრაფებათ და ამათი აღმოფხვრა შეუძლებელიაო. მაგრამ როგორ უნდა შეუთანხმოთ და შევურიგოთ ეს ორი საწინააღმდეგო მისწრაფებაო? რევოლიუციის მეორე დღეს, როცა ყველანი აღტაცებული და აღფრთოვანებული ვიყავით, როცა ყველა ერი ერთმა და იმავე აზრმა გაგვიტაცა და შეგვიპყრო, ახალგაზდა ოსმალთ გვეგონა, რომ ეროვნული განხეთქილება და ბრძოლა თან გაჰყვა ძველ რეჟიმს და ბნელ საუკუნეთ მიებარა; მაგრამ სინამდვილემ მალე განფანტა ილუზიები: ბერძენთა ვერაგულმა ტაქტიკამ სტამბოლის საქალაქო არჩევნებზე, აჯანყებამ არაბეთში და ალბანიაში დაგვანახვეს ეროვნული პრობლემის დიადი სიძნელე ჩვენს სამშობლოშიო. ჯავად-ბეი მიუხედავად ამ სიძნელისა, იმედს არ ჰკარგავს, რომ ახალგაზდა ოსმალთა პოლიტიკა თავისას გაიტანს და ოსმალეთის საკეთილდღეოდ გადასწყვეტს ამ საკითხს... შემდეგ წერილში გვპირდება ამ პოლიტიკის გარკვევას და სხვა და სხვა ერთა გაერთიანების საშვალებათა გათვალისწინებას.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

8-9 ნოემბერი.

## სპარსეთი

**თავრიზი.** თავრიზს ახლო-მახლო სოფლებიდან აყარებული ხალხი მოაწყდა. ყარადაღელები და შაჰსევანები თავრიზიდან 20-30 ვერსის მანძილზედ სცარცვავენ. რადგანაც სოფელ მცხოვრებს დიდი შიში მოელის, ამიტომ გენერალ-გუბერნატორმა ამ სოფელში 300 ცხენოსანი გაგზავნა.

**თეირანი.** თუმცა სამინისტრო მეჯლისის გახსნის დღეს ფორმალურად სამსახურიდან გადადგა, მაგრამ მაინც იხილავს მიმდინარე საქმეებს. მეჯლისმა უკვე განიხილა დეპუტატების არჩევნების საქმეები. 7 ნოემბერს მეჯლისი პრეზიდიუმის არჩევანს შეუდგა. ელიან რომ მეჯლისი რეგენტის დამტკიცებას და ეხლანდელ სამინისტროს ნდობას გამოუცხადებს. სეფე სიტყვის ის ნაწილი, რომელიც რუსის ჯარს შეეხებოდა, უცხოეთის გაზეთების კორესპონდენტებმა დანამდვილებით ვერ გადმოგვცეს. სე-

---

# ოცნების მხარეს

დრამატიული პოემა.

(დასასრული *)

## სურათი მეხუთე

**ზღვის ნაპირი.**

**ზღვის ფერიები.**

ზღვისა ტალღები ჩვენ მივაყურეთ,
ოდნავ ირხევა ობოლი ნავი;
დაუძლურებულს მგოსანსა ჰბერავს,
აღთქმულ ქვეყნიდან გრილი ნიავი.
ელის... საცაა გამოჩნდებიან...
თითქოს შორს მოჰკრა ვიღაცას თვალი!
არა! მოსტყუვდა... სხივმა ფრთა გაჰკრა,
წითლად შეღება ცის დასავალი.
ქალი-სევდია კლდეს მიჰყრდნობია,
შორს სივრცისაკენ გაიცქირება.
თან ანუგეშებს მგოსანს—თვის სატრფოს—
თვითონ კი ჩუმად ცრემლად იღვრება.
ღონიით გული კადაელია,
ჰხედავს სიკვდილსა, უახლოვდება.
სუნთქვა უჩქდება, ხმა უსუსტდება,
ღმერთთან ლოცვასა ბერს ევედრება.

**მ გ ო ს ა ნ ი.**

ილოცე ბერო, ღმერთს შეევედრე,
ჯერ ნუ დამიხშობს ძალას სიცოცხლის;
ცხოვრების მიზნის აწ უხილავად
ტანჯულს, წამებულს სულს ნუ აღმომხდის.
მწუხრის ნიავი ყურს ჩამჩურჩულებს:
სატრფო მოჰქრისო, მოეჩქარება;
ილოცე ბერო, შესთხოვე ზეცას
მაცალოს თვალის დახამხამება!
მოფრინდი სატრფოვ, შენით ვსულდგმულობ,
ჰმუნვარე სულსა აპკურე ცვარი;
ამომაბრწყინდი მნათობ ვარსკვლავად,
განმიღე ხშული სამოთხის კარი.
უშენოდ ყოფნას ვერ გასძლებს გული,
აჰა, იმედის ყვავილი ჭკნება;
ნუ თუ ხსნა ჩემი არსაით არის,
შვების ლამპარი ადრე ჩაჰქრება?
ვაი თუ მოვკვდე და ველარ ვნახო,
ლოდინში მწარედ დავლიო სული
მის წმინდა ალერსს, ციურს და ნათელს
მე ველარ ვიგრძნობ მიწას შთანთქმული.
ოჰ, ეს ლოდინი, მწარე ლოდინი...
ჟამი მიჰქრის და მიეჩქარება;
ილოცე ბერო, შესთხოვე ზეცას,
მაცალოს თვალის დახამხამება!

**უ ო რ ა ნ ი.**

ბედნიერების სხივი ციმციმებს,
სულსა სევდიანს ელერსება;
ხან-მოკლე არის მისი ნავარდი,
ვითა აჩრდილი ილევა, ჰქრება.
შენა ხარ მონა ულვთო სიკვდილის,
ამაო არის ნატვრა სურვილი;
ყრმაო, მსხვერპლი ხარ უდროო დროის,
შენს გულს მოიდნობს, კვნესა-წუხილი.
ისმის ხაზარი ავსულთ ხარხარი,
გვერდით ჩაუვლის მგოსანს სიკვდილი.
ხელში უჭირავს მას ბასრი ცელი.
თვით ჯოჯოხეთში გამოკვერილი.

**ს ე ვ დ ი ა.**

კრთის და საბრალოს არ ესვენება.
ჰბოდავს... რაღაცა მას ელანდება.
ბერო, უშველე, უშველე რამე,
ლოცვით მოჰბერდე გულსა სიამეს;
შენ უწყი, მიყვარს, და მისი ტანჯვით
მეც ვიტანჯები ბედკრულ დღე-ღამეს!
გრძნობა მიხდილი ჰხედავს მგოსანი
შუქი გამოკრთა ზღვის ნაპირისკენ;
თითქოს შენიშნეს მის ერთგულებმაც,
თვალი მიაპყრეს დასავლეთისკენ-
თითქოს თანდათან ახლოვდებოდა,
ჩვენება ეგო არსად ნახული;
იცნო მზისავარ, მასთან მოჰქროდა
ოცნების ფრთებზე ვინმე ასული.
უმზერს მგოსანი თვალცრემლიანი,
მიჯნური მის წინ სდგას სიყვარული
და სულის მტანჯველს, მაგრამ სანატრელს
ყურს ჩასჩურჩულებს მისუსტებული.

**მ გ ო ს ა ნ ი.**

აჰა, ჩემთან ხარ, მე კი გშორდები,
ღონე მელევა, თვალთ მიბნელდება;
ბედი მუხთალი სამარეს მითხრის,
ჩემი ხანმოკლე სიცოცხლე სწყდება!

**ლანდი სიყვარულისა.**

შენი სიცოცხლე სარკმელი იყო,
ვერსად წაუხვედ გარდუვალ კედლებს;
მოჰკვდები, გვამსა მტვერს შეუერთებ,
ჩემთან სიკვდილი შემოგაერთებს.
წმინდა სიყვარულს და სულს მგზნებარეს
თვით უკვდავება დააგვირგვინებს;
შენ მხოლოდ ეხლა მიახლოვდები,
მეც ეხლა გაფრქვევ მომხიბვლელ სხივებს.

**მ გ ო ს ა ნ ი.**

დაე კვლავ გული სევდამ შეხუთოს,
ხელს ნუ შეახებ ნაზ გრძნობის სიმებს;
მიყვარს სიჩუმე, თავდავიწყება,
მსურს კვლავ გაფრქვევდე მდუღარე ცრემლებს.
რისთვის მოჰსულხარ ტურფა ედემით?
თავს რად ევლები სულს შეწუხებულს?
მშვიდობით სატრფოვ, არ ძალუძს შველა
აწ შენს ალერსსა დაგვიანებულს.
შავი სიკვდილი თავს დამტრიალებს.
გრძნობა ცხოველი გულში ყუჩდება;
მკერდს მისუსტებულს ნუ მაყრი ვარდებს,
მივფრინავ სადღაც, თვალი აქ მრჩება.
ნუ დამიტირებ ცივს სამარეზე,
იქ ნუ შეაკრთობ ვარდს მინაზებულს;
მშვიდობით, სატრფოვ, არ ძალუძს შველა
აწ შენს ალერსსა დაგვიანებულს!..

**აჩრდილი მზისავარისა.**

ფიქრი ფიქრს მოსდევს, ვით ტალღა ტალღას,
მწუხრი გულს მაინც არა ჰშორდება.
ვაგლახ! სიმშვიდეს ვერ ეღირსება
ვინც ეკლიანსა გზას შეუდგება.
ტყუილად ვეძებთ განსვენებასა,
ფეხს ვერ აუქცევ ბოროტებასა.
ვიბრძვით და ვიბრძვით... და სამუდამოდ
სიკვდილში ვპოვებთ მოსვენებასა!
თუ წუთიერად გულს გაიღიმე,
მწარე ნაღველი მას თან მოჰყვება;
ხანგრძლივი ქვეყნად არა არის-რა
და მით უმეტეს ბედნიერება!..
სატრფო-ჩვენებამ გულში აღმიგზნო,
სიყვარული და დიადი ნება;
მან მაგრძნობინა, რომ ვარ ზეკაცი,
შუქით დამჰფერა ნაზი ოცნება.
შემასხა ფრთები, ცას აღმაფრინა,
სულსა შთაჰბერა თავისუფლება;
და დამანახვა მე სიმაღლიდან
მარტოდენ სოფლის ამაოება!

**მ გ ო ს ა ნ ი.**

ოჰ მეგობარო, გულს რად მიწამლავ,
ეგრედ უწყალოს რად მასმენ სიტყვას;
სიმები დამწყდა, აწ ნორჩ გულიდან
სამხიარულო ვით აღმოითქვას?

**უ ო რ ა ნ ი.**

და ჟამი მიჰქრის... ბრძოლით თან მისდევთ
ერთი იშვების, მეორე კვდება.
ყველას მოინდობს მეფე სიკვდილი,
უკვდავი არის ამაოება!
ჰქრება უოგელი. გამოერკვია
ატირდა მწარედ მოტყუებული;
თვითონ შთიხმთ ნაზი სევდია
და მოუთხრობდა აცრემლებული.

**მ გ ო ს ა ნ ი.**

კვლავ მომელანდა იგი ჩვენება,
მაგრამ გამშორდა თვალს მოეფარა;
მითხრა: სიკვდილი შეგვაერთებსო,
ყვავილი მკერდზე გადმომაყარა.
მოდი, მიშველე, ხალისი ჰქრება,
ფიქრით, ლოდინით გული ღონდება;
ჰხედავ, ძლივს ვსუნთქავ! ვაგლახ ჩემს თავსა,
ცხოვრების ძაფი რა ადრე სწყდება.
ცოტა ვიცოცხლე, ბევრი ვიტანჯე,
ტანჯვითვე, აჰა, ბოლო მელება!

*) იხ. «დროება» N 247.

ფე-სიტყვაში ნათქვამი იყო: ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ახლო მომავალში მოისპობა ის იდელვება და მწუხარება, რომელიც სპარსეთის ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფო ჯარის ყოფნამ გამოიწვია. მთავრობა უკვე შეუდგა მოლაპარაკებას უცხო სახელმწიფოებთან და იმედია, რომ მოლაპარაკება ჩვენ სასარგებლოდ დაბოლოვდებაო.

**თეირანი.** მეჯლისის თავმჯდომარედ აირჩიეს მუსტე-შარულ-დოულე, თავმჯდომარის ამხანაგებად: ხაჯი-სეიდ-ნასულა და მომტოზუდ-დოულე.

### ფ ი ნ ლ ი ა ნ დ ი ა

**პეტერბურგი.** უმაღლესად დამტკიცდა მინისტრთა საბჭოს შემდეგი დადგენილება: ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორს ევალება რაც შეძლება მოკლე ხანში შეიმუშავოს და მინისტრთა საბჭოს წარუდგინოს წესები, თუ როგორ შეიძლება მთავრობის დაწესებულებებსა და ფინლიანდიის და იმპერიის სხვა ნაწილების მოხელეებს შორის მიწერ-მოწერა რუსულ ენაზე სწარმოებდეს.

**პეტერბურგი.** „ფინლიანდსკაია გაზეტაში“ დაწვრილებით აღწერილია გენერალ-გუბერნატორ ზეკმანის გამოძიება მართლ-მადიდებელ სამღვდელოების ფინლიანდიელების მიერ შეურაცხყოფის შესახებ. 12 სასულიერო პირსა-განუცხადებია, ქუჩებში შირად გვაფურთხებენო. სასულიერო პირების უმრავლესობას განუცხადებია: ქუჩაში მიფურთხება და სხვა შეურაცხყოფა ისეთი ჩვეულებრივ მოვლენად გადიქცა, რომ ყურადღებასაც აღარ ვაქცევთ ამასაო. სამღვდელო პირებისთვის შეურაცხყოფა მიუყენებიათ უმთავრესად პატარა ბავშვებს: გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მოზრდილებსაც ჩაუდენიათ ეს დანაშაული. გენერალ-გუბერნატორმა ზეკმანმა ფინლიანდიის სენატს შეატყობინა ეს და მისწერა ზომები მიიღეთ, რომ სამღვდელო პირებს შესაფერ პატივით ექცეოდნენო.

### უბედურება მაღაროებში

**ჩერრი.** (ილლინოისის შტატი). წმ. პავლეს მაღაროებში კიდევ 40 მუშა ნახეს ცოცხალი. ამოიყვანეს 9 მუშა. ამ მაღაროებს 31 ოქტომბრიდან ცეცხლი უკიდია. ერთმა გადარჩენილმა სთქვა, მაღაროებს ცეცხლი გაუჩნდა თუ არა, ერთ ადგილას შევძვერი და სულ ამოვლესე ეს ადგილი, რომ ცეცხლს არაფერი ევნოო.

### ჰ ა ე რ შ ი ფ რ ე ნ ა.

**მურმელონ ლე-პრან.** თავის ჰაეროპლანით გაფრინდა პოლანი. პოლანი 55 წუთში 30 კილომეტრს გაფრინდა.

### ს ა ზ ღ ვ ა რ - გ ა რ ე დ

**რომი.** იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრმა და ნიდერლანდების ელჩმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლითაც ამ ორ სახელმწიფოს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოებანი სამედიატორო სასამართლომ უნდა გაარჩიოს ხოლმე.

**ვაშინგტონი.** სენტო პოლადან იტყობინებიან: სასამართლომ გაარჩია „სტანდარტ ოილ-კომპანიის“ საქმე. უჩიოდა მთავრობა, ტრესტმა გახსნა ფილიალური განყოფილებები, პირველ ხანებში დასცა ფასები, რომ შემდეგ ერბოს ვაჭრობის მონოპოლია ჩაეგდო ხელშიო. სასამართლომ ეს ტრესტი უკანონოდ იცნო და დაადგინა დაკეტოს ტრესტი და მისი განყოფილებები. არ დაიკეტება მხოლოდ 33 განყოფილება.

### რ უ ს ე თ ი

**ნოვოჩერკასკი.** ღამე სატუსაღოდან გაიქცა სამი ტუსაღი. დარაჯებმა ერთი მოჰკლეს, მეორე დააპატიმრეს, მესამემ თავს უშველა.

**ლოძი.** დააპატიმრეს ორი მუშა. ბრალდებათ მოძრაობის დროს პარტიულ ნიადაგზე რამდენიმე კაცის მოკვლა.

**პეტერბურგი.** ფოსტა-ტელეგრაფის მთავარი გამგეობა აცხადებს: დიდმა ნამქერებმა შეაჩერეს ტელეგრაფის მუშაობა. პეტერბურგსა, ირკუტსკს, ომსკს, სარატოვს, ტამბოვს, დონის როსტოვს, მოსკოვს, ცარიცინს, ტფილისს, ვორონეჟს, ორლოვს, ხარკოვს, სიმფეროპოლს და კიევს შუა. ტელეგრაფის მუშაობა ზოგიერთ ადგილებში ჯერეც არ აღდგენილა. მიღებულია ზომები ტელეგრაფის წესიერ მუშაობის ასაღდგენად.

**პოლტავა.** ადგილობრივ სემინარიაში არეულობა გათავდა. მოწაფეები სწავლას შეუდგნენ.

**გელსინგფორსი.** 1 ნოემბერს სადგურ პიტკიანიმის ახლო სამგზავრო მატარებელი დაეჯახა საქონლისას. დაიმტვრა რამდენიმე ვაგონი. დაშავდა რამდენიმე კაცი.

**ტაგანროგი.** იუსუპოვას მაღაროებში 6 შეიარაღებულმა ბოროტ-განმზრახველმა გაცარცვა მომხმარე ბელთა საზოგადოების დუქანი. ბოროტ-განმზრახველებმა გაიტაცეს 6000 მანეთი და მიიმალნენ.

**ოდესსა.** ქალაქის საბჭომ დაადგინა ქალაქის პირველ დაწყებით სკოლებში ასწავლოს სამხედრო ვარჯიშობა და გიმნასტიკა. ქალაქის საბჭო „ჭეშმარიტ რუსთა“ ხელშია.

**პეტერბურგი.** უნივერსიტეტების სტუდენტებმა კრება გამართეს. რექტორს ნება არ დაურთავს. პრორექტორის დარიგებამ არ გასჭრა. ამის შემდეგ უნივერსიტეტში დაიბარეს პოლიციელები. სტუდენტებმა კრება დაშალეს. კრებას უნდა განეხილა პროფესორთა დისციპლინურ სასამართლოს გადაწყვეტილება. ამ სასამართლომ განიხილა ფერეროს სიკვდილით დასჯის გამო საპროტესტო კრების მომწვევთა საქმე და სამი სტუდენტი სტუდენტობიდან ჩამოაყენეს და თავისუფალ-მსმენელად ჩარიცხა.

**პეტერბურგი.** დააპატიმრეს ქაღალდის ფულის მომჭრელ ექსპედიციის მუშებად ნამყოფები, ორი ძმა როგაჩკოვები. ამათ ქაღალდის ფულის მომჭრელ ექსპედიციიდან გაიტაცეს ახლად დაბეჭდილი 25 მანეთიანები, სულ რამდენიმე ათი ათასი მანეთისა. დაპატიმრებულებმა პოლიციას აჩვენეს ის ადგილი. სადაც მათ ფული ჩაეფლათ. დანიშნულ ალაგას 1419 ოცდა-ხუთ მანეთიანი ბილეთები აღმოჩნდა. ერთ დაპატიმრებულთაგანს სამარასა, ასტრახანსა, პენზასა და პეტროვსკაში გაუსაღებია 5,000 მანეთი. ბილეთებზე ხელი არ ეწერა ექსპედიციის გამგეს. როგაჩკოვებს გასაღებულ ბილეთებზე თავისით მოუწერიათ ხელი.

**პოლტავა.** ადგილობრივ სემინარიაში არეულობა არ გათავებულა. დღევანდელი დეპეშა—შეცდომითაა გამოგზავნილი. მართალია მოწაფეებმა გუშინ, 7 ნოემბერს, ხელწერილი დასდეს სწავლას შეუდგებით, მაგრამ მეორე დღეს უარი განაცხადეს სწავლაზედ. ამიტომ გადაწყვეტილია დაჰკეტონ სემინარიის პირველი ოთხი კლასი და მოწაფეები სახლებში გაისტუმრონ. მეხუთე და მეექვსე კლასებში სწავლა განახლდება.

**პეტერბურგი.** კავკასიისა და პოლონეთის გუბერნიებს გარდა შინაგან საქმეთა მინისტრის დადგენილების თანახმად, რუსეთის 134 საგუბერნიო ქალაქში ცეცხლის მქროველთა რაზმები ქალაქებს გადაეცათ.

**ვინდავა.** ღამე ზღვაზე დიდი ქარი ამოვარდა. დაიღუპა ბევრი მეთევზე.

**მოგილევი.** ნათესავებმა იცნეს მოკლული და დაპატიმრებული ბოროტ-განმზრახველები. ბრალდებათ კრუპცაში მღვდლის ოჯახობის ამოწყვეტა და სახაზინო არყის დუქნის გაცარცვა. ერთ ბოროტგანმზრახველს 202 მანეთი აღმოაჩნდა.

**რიბინსკი.** სამოსამართლო პალატამ პირველ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ნამყოფ სუბბოტინს ერთი წლით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

**ოდესსა.** ოდესსის სადგურზე სათადარიგო ჯარის პრაპორშჩიკს ივანოვს ჯიბეში რაღაც აუფეთქდა. ხალხი შეშინებული აქეთ-იქით გაიქცა. ივანოვს მარჯვენა ხელი სულ დაემტვრა, დაეწვა მარჯვენა ბარძაყი. ივანოვმა განაცხადა, მე მოვიგონე მოწყობილება შუშხუნების ასაფეთქებლად და ჯიბეში ის აფეთქდაო. გამოძიებას შეუდგნენ.

**კატტოვი.** ადმინისტრაციამ კონფისკაცია უყო 1910 წლის მუშათა კალენდარს. დაბეჭდილი იყო 17,000 ცალი. ადმინისტრაციის აზრით კალენდარში ზოგიერთი ცნობები ერთ კლასს მეორეზედ ამხედრებენ.

**პეტერბურგი.** წელს შესრულდა 50 წელიწადი, რაც სალიტერატურო ფონდი არსებობს. სალიტერატურო ფონდის 50 წლის თავი დიდის ამბით იდღესასწაულეს. პირველი სიტყვა წარმოსთქვა ცნობილმა მეცნიერმა კარეევმა. შემდეგ მოისმინეს დეპუტატების სიტყვები. სალიტერატურო ფონდის კომიტეტს აუარებელი დეპეშები მოუვიდა, სხვათა შორის, ლონდონის სალიტერატურო ფონდის კომიტეტისაგან.

### ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ავად გახდა 3, არავინ გარდაცვლილა, ავად არის 112 კაცი.

**პეტერბურგი.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად გახდა; პონევეჟში 3, კოსტრომის გუბერნიაში 5, ლგოვის მაზრაში 1, ლოევში 1, რიგაში 3, ეკატერინოსლავის გუბერნიაში 7, ნიკოლაევის მაზრაში 20, ლენქორანის მაზრაში (ტფილისის გუბერნი?) 6, ბაქოში 8, კრონშტატში 1 კაცი; გარდაიცვალა: პონევეჟში 3, კოსტრომის გუბერნიაში 2, ლგოვის მაზრაში 1, ლოევში 1, ნიკოლაევის მაზრაში 3, ლენქორანის მაზრაში 6, ბაქოში 3 კაცი.

## ნ ა წ ყ ვ ე ტ ი

II

**მეფე ერეკლე და თელავის წმ. ნინოს სასწავლებლის „ნაჩალნიცა“.**

შემთხვევით ამ შემოდგომაზე თელავში გახლდით.

კახეთი ჩვეულებრივად კეკლუცად გამოიყურებოდა. აქა-იქ მაღალ მთებზე, რომელნიც ლურჯ ბურუსში იყვნენ გახვეულნი, მოსჩანდა თოვლი, თითქო ბამბა დაუყრიათო. ძირს ვაკეზე დინჯარ მიიზლაზნებოდა ალაზანი.

თვალი შორს მირბოდა. მაგრამ აზრი უფრო შორს მიდიოდა. ლეკები... გალესილი ხანჯლები... ერეკლეს არა სძინავს, მარტოკა დადის თავის კოშკში. სწუხს, იცის, რომ ბარბაროსული შემოსვლა დაუძინებელ მტრისა დაღესტნელ მთებიდან აუცილებელია, თან ვერა ჰბედავს, ეცოდება თავისი ჯარი. მარამ გულში-კი გადაწყვეტილი აქვს.—თავს შესწირავს სამშობლოს და არ დაარბევინებს ქვეყანას ნადირებს...

მირბის დრო, წელიწადები. მცხეთაში ჰპოვა საუკუნო განსვენება მოხუცმა. მაგრამ მისი დიდბული სახე თითქო თვალ-წინ გვიდგა, როგორც ცოცხალი გმირი ქართველების წარსულისა. ერეკლე რომ ფრანგი ან ესპანელი ყოფილიყო, ეჭვი არ არის, იმის სურათს ყველა ოჯახში ნახავდით. ეს არის მცირედი პატივისცემა განსვენებულის ხსოვნისადმი.

მე მგონია, ასე ფიქრობდნენ წარსულ საუკუნეში თელავის წმ. ნინოს სასწავლებლის უფროსები, როდესაც ერეკლეს სურათი დაჰკიდეს იმის საწოლ ოთახში, სადაც სული დალია ერეკლემ და სადაც ამ ჟამად მოთავსებულია ბიბლიოთეკა წმ. ნინოს სასწავლებლისა.

არ შეგიძლიათ დამშვიდებით შეხვიდეთ იმის სასახლეში: ძველი წარსული ცხადად გიდგებათ თვალში. ელვასებრ გებადება აზრი, მაგრამ იმ წუთშივე ჰქრება. ნება-უნებურად თვალით ეძებთ კედლებზე იმის სურათს.

— აღარ დაჰკიდეს!.. მოკლედ გიპასუხებთ ახალგაზდა ქალი...

— ნეტავი რა დაშავა იმისთანა, რომ აქ დაკიდვის ღირსი აღარ გაჰხადეს!

ჰკიდია დიდი სურათები ჟუკოვსკისა, ლერმონტოვისა, პუშკინისა... ნუ თუ ამ მგოსნებს ეწყინებოდათ ერეკლე მეფის მეზობლობა?!

არა მგონია!

იმათი პოეზია ისეთ კაცთმოყვარეობას ანერგებს ახალგაზდათა გულში, რომ გასაკვირველია, რატომ არ უნდა იცოდნენ მოწაფეებმა, რა სახის კაცი იყო ის მხცოვანი მებრძოლი, რომლის სასახლეში ისინი ეხლა სწავლობენ?

**დ. ვედრებისელი**

## მოწერილი ამბები

**სოფ. მისაქციელი.** (დუშეთის მაზრა). [illegible] ქართველთა სამხედრო გზის წილკნის სადგურის მახლობლად. შეფენილია ფერდობზე. მამულები ერწყავი აქვთ. სასმელს წყალსაც არაგვიდან ეზიდებიან თითქმის ორი-სამი ვერსის მანძილიდან. სასმელ წყლის ასეთი სიშორე და მამულის მოურწყაობა ამ სოფლის მცხოვრებთ დიდ გაჭირვებაში აგდებდა და ამიტომ დიდი ხანია ამ სოფელს აზრადა ჰქონდა არაგვიდან სარწყავი რუს გამოყვანა. როგორც ეხლა გავიგეთ, ამ რუს გამოყვანის საქმე სასურველად ბოლოვდება. მცხოვრებნი, როგორც ამბობენ, მოჰრიგებიან ვიღაც გამოცდილ კაცს ორასსამოც თუმნად. როგორც გადმომცეს და მეც თვითონ დავათვალიერე, ამ რუს სათავე იქნება წილკნის სადგურის გადასწვრივ, სოფ. დამის თავში. მდებარეობა ადგილისა აქ ისეთია, რომ დიდად საეჭვოა აქედან წყლის გაყვანა და ისიც მისაქციელის თავზე. რუ ძალიან ღრმა გამოვა. სამ-ოთხ საჟენიან სიღრმის რუ ძალიან ცოტა სარგებლობას მოუტანს მცხოვრებთ, რადგან ამ სიღრმიდან რუს სარწყავად გამოყენება შეიძლება მხოლოდ რამდენიმე ვერსის ქვევით. ამიტომ საჭიროა საქმის მცოდნეთ, ამ სოფლის გულშემატკივართ, ურჩიონ ხალხს, თავი დაანებონ დამის თავიდან რუს გამოყვანას, რადგან ამაზე დახარჯული ფული დაკარგული იქნება.

ვურჩევ მისაქციელის მცხოვრებთ, ვიდრე საბოლოოდ გადასწყვეტდნენ იმ გამოცდილ კაცთან საქმის დაჭერას, შეეკითხნენ რუების გაყვანაში გამოცდილ და ნასწავლ კაცებს, რათა თავიდან აიშორონ ქონებრივათ გაფცქვნა და ბოლოს ვაის და უშის ძახილი.

ამას წინად ეს ადგილები დაუთვალიერებია ინჟინერს მამრაძეს. მან ის აზრი გამოსთქვა, რომ ყველაზე ადვილი და სასარგებლო იქნება, ბაკისჭალის წისქვილის რუებიდან წამოვიდეს მისაქციელისთვის რუო, თუ აქედან შორი იქნება, მაშინ უსათუოდ ბულაჩაურის ხიდის ქვემოდან უნდა გამოვიდეს რუო. თუ მისაქციელები არავის დაეკითხებიან და არავის აჩვენებენ ამ რუს საქმეს, მაშინ ვურჩევთ, ეს რჩევა მიიღონ მხედველობაში და იმ თავიანთ გამოცდილ კაცს იქიდან დააწყებინონ მუშაობა. **ლ. მაზრელი.**

---

ნუ თუ სიკვდილი საშიში არის?
წავალ... სად წაველ, ან რომელ მხარეს?
სატრფოზე ფიქრი ხომ თან გამყვება,
არ მომასვენებს საფლავს მდებარეს!..
მომიახლოვდი, ჩემო სევდიავ,
ჰო, ასე, მოდი... მომეცი ხელი;
ვიცი, გიყვარვარ... მე სხვას ვეტრფოდი...
ვისიც სიზმრად ვარ მხოლოდ მნახველი...
მისთვის სიცოცხლეს არ დავზოგავდი,
შხამსა დავლევდი მოსაკვდინებელს...
შენ კი, ძვირფასო, ულვთოდ გტანჯავდი,
გულს გაწვეთებდი სამსალა-ნაღველს!..
ოჰ მეგობარო, ვიცი, შემინდობ,
ჩემს გულ-გრილობას—ცოცხლად დამმარხველს;
არ დამივიწყებ, მოხვალ საფლავთან
და ცრემლს დამარფქვევ ამაო მძებნელს.

**ს ე ვ დ ი ა.**

ნუ, ნუ იგონებ ჩვენს მწარე წარსულს,
ოდეს გაფურჩქვნილს შემოგხაროდი;
როს შენსა სხივზე, ცხოველ მყოფელზე,
ვიფურჩქნებოდი, ნაზად ვყვაოდი.
ამითაც ვიყავ მე ბედნიერი,
სხვას შენგან, მნათო, არას ველოდი;
ვითა აჩრდილი, მარად თან გდევდი,
შორიდან ტრფობით შემოგცქეროდი.
რაც კი შომიძლვენ იმ დროს შენს ერთგულს,
ის ანუგეშებს ჩემს მწირს ობლობას;
სიყვარულისთვის, თუ ტანჯვისათვის
აწ კმაყოფილი გწირავ მადლობას!

**მ გ ო ს ა ნ ი.**

დიდი ხანია მე მას ვეძებდი
მღელვარე დღეს, თუ წყნარსა საღამოს;
დიად ბრწყინვალე განთიადისას,
შავად მობურულს მწუხრსა საამოს,
ნელად მჩქეფარე მთის ცივს წყაროში,
ველზედ რომ მიხტის და მიღუღუნებს;
მქუხარე ზღვაში, მაღალსა მთებში,
ასე ამაყად ცას რომ უყურებს.
გადმოვიარე ზღვა და ხმელეთი,
ვკითხავდი უფსკრულს, ვკითხავდი მთვარეს;
აჰა, მოვადექ აღთქმულს ქვეყანას
და იდუმალსა ოცნების მხარეს:
ვეძებდი ტანჯვით, თავდავიწყებით,
ვიდრე შემწვევდა ძალა დაქანცულს;
მეგონა, სადმე შემეყრებოდა
და მომბერავდა შვებით სიხარულს.
მაგრამ მიჯნური ტანჯვათა შორის
თუ სიამისა ქსელში გაბმული,—
წმინდა მიზანი არსებობისა
ვერა, ვერ ვპოვე და ჰგოდებს სული.
მაინც მას ველტვი მიუწდომელსა,
ავადმყოფს გულსა ის მიფრთოვანებს;
სიკვდილის ჟამსაც ვიტყვი: ის მიყვარს!
და სამუდამოდ დავხუჭავ თვალებს.

**ყ ო რ ა ნ ი.**

უნდა ტანჯვაში
დაჰლიო სული;
და ვერა ჰნახო
შენ სიყვარული.
შენი ხვედრია
ცრემლი დამწველი;
გრძნობა ჩაიკალ,
ნურაფერს ელი!
მე შენ გაგითხრი
შავსა სამარეს
და მოგასვენებ
სულით მღელვარეს.
ფუჭი ნატვრაა
შენი ოცნება;
სიკვდილი მოდის,
გიახლოვდება.

**მ გ ო ს ა ნ ი.**

შავი ყორანი თავ დამტრიალებს,
მამცნობს მე ბედკრულს უბედურობას;
მესმის დემონიც სადღაც ჰხარხარებს,
ჰხარობს, დამცინის სულით ობლობას.
ოცნების მერანს მივაქროლებ სიყვარულისკენ,
ვუახლოვდები, მაგრამ იგი სულ წინ მიფრინავს;
ვერა, ვერ იქმნა, ვერ შევეხე ნაზსა. მშვენიერს,
ჩემთვის უცნობი მიუწდომლად ციმციმებს, ბრწყინავს.
შავი სიკვდილი მოჰქრის ცელით, არა მშორდება,
ხან წინ გამისწრობს ხან კვალდაკვალ ამედევნება;
ნუ თუ მიზანსა ვერ მივსწვდები, ისე მიმსხვერპლებს?
ამ უდაბნოში ოხრდ შთენილს ვინ დამიტირებს.

**სიკვდილი.**

ჩემთან ჭაბუკო, ჩემთან ისწრაფე,
შენ ჩემი შიში ნუ, ნუ გექმნება;
მე მიგიყუჩებ სევდას და ნაღველს
ჩემს მკერდზე ტკბილად ჩაგეძინება.
ჩემი სამყარო თუმცა ბნელია,
მაგრამ სამეფო არს მყუდროების;
ვეღარ შემაკრთობს სატრფოს ღიმილი.
და ვერც სოფელი ამაოების.
არ ვარ საშიში, როგორც გგონია,
მე შეგიბრალებ მრავალ გზით ტანჯულს.

**მ გ ო ს ა ნ ი.**

მაგრამ სიცოცხლე... ტკბილი სიცოცხლე
მუდამ სწყუროდა გულს ტრფობით ვნებულს;
მკერდს დაიბკურა ობოლი ცრემლი,
ფრთა გაუშლელად ჩაჰქნა ოცნება.
ნუ თუ უკვდავად რაც კი მიმაჩნდა
იგი ყოფილა ამაოება?
ცხოვრების დღენი და მომავალი
სამარადისოდ მოუცავს წყვდიადს;
სული ობოლი ჰგოდებს და ჰყივის,
ვეღარ იხილავს დილის განთიადს.
რაოდენიცა რა ჰგიეს ქვეყნად
არ დაადგრების, სიზმრებრ გაჰქრება;
ჯერ არ შობილა და უკვე ჰქრება
წმინდა სურვილი და მისწრაფება.
ბედის ვარსკვლავი გზას არ გამიკვლევს,
სიკვდილი მამცნობს ჟამს განშორების;
ტანჯვით შობილი მოვკვდები, წავალ
ბნელსა სამეფოს უკუნოების
ვისაც ვეტრფოდი, იგი ვერ ვნახე,
ადრე სამარეს დავიმარხები;
მაინც ის მიყვარს, მას ერთს ვადიდებ...
მშვიდობით, ვკვდები... მშვიდობით, ვკვდები!..
(კვდება).

ბნელმა ნაღველი გარდაათვარა
ტურფა წალკოტსა, აჩრდილთ სამყაროს;
ციურმა დასმა ზეცას ჩამოჰკრა
ზარს სავალალოს, სამგლოვიაროს.
მოკვდა მგოსანი მწარე ტანჯვაში
სტირის სევდია, ერთგულა ჰგოდებს;
მუხლმოდრეკილი ბერო ცის მიმართ
სასოებითა ჰვდადებს ლოცვებს!
ჩაშავებული ცისა კამარა
იცრემლებოდა, თითქოს სტიროდა;
შორს ცის დასავალს ელვის ისარი
კლაკვნით და გრეხვით ღრუბელს აპობდა.
მხოლოდ ერთს ადგილს ცა გახსნილიყო,
იქიდან სხივი ნავს ეფრქვეოდა;
იქვე გადობდა აჩრდილთა გუნდი,
ჰიმნი მწუხარე შორს იბნეოდა.
ტალღა აღარ ჰქუხს, შეწყა ნიავი,
ლაჟვარდში ჩაქრა მნათობი მკრთალი;
აცრემლებულთა მგოსნის მეგობართ
მაღლით მოესმათ ხმა იდუმალი.

**ხ მ ა ი დ უ მ ა ლ ი.**

მას ნუ იგლოვებთ, ნურც დაიტირებთ,
ვისი სახლიც არს უკვდავება;
ვის სულს ანთებულს და დაუშრეტელს
ღვთიური მადლი ცით ეფინება.
მისი ძეგლია ტურფა ბუნება,
ხელთა უქმნელი და ბუმბერაზი;
ხან რისხვის სავსე, ცეცხლის მფრქვეველი,
ხან მოკამკამე, ფურჩქნილი, ნაზი.
თვით უკვდავია, უკვდავის სულით
ერსა ატკბობდა ჟამსა სევდიანს;
მისი სიმღერა ხანა ჰრისხავდა,
ხან ამაღლებდა ცად, ადამიანს!..

**ა. შანშიაშვილი.**

**რაჭა.** ამას წინად გაზეთებში დაბეჭდილი იყო, რომ რაჭას მოევლინა „დიდებული" მქადაგებელი ვინმე სვანი, რომელმაც თავი ღვთისაგან მოვლინებულად აღიარა, შევიდა რაჭის სოფლებში და ვინ იცის, რას არ აჯერებს ხალხს. სხვათა შორის, სვანი ადამიანის მომაკვდინებელ ცოდვად თამბაქოს წევასა სთვლიდა. ქრისტიანი უნდა ერიდოს თამბაქოს წევას, თორემ ჯოჯოხეთი არ ასცდება საიქიოსათ. ქურდობაც, რასაკვირველია, დიდი სამარცხვინო საქმეა და აი ეს სვანიც ქადაგობდა—ყველა ქურდი ჯოჯოხეთში წავაო. მე ღვთისაგან მოვლინებული ვარ თქვენ გიქადაგოთ, ჭეშმარიტება გამცნოთ და თუ არ დამიჯერებთ, უფალი ჩემს შემდეგ ჯორ-ხარს გამოგზავნის და ის გიქადაგებთო. თუ ამასაც არ მოუსმენთ, შემდეგ სამი წლის ბავშვი მოგევლინებათ. ესეც ღვთისგან იქნება გამოგზავნილი თქვენს მოსარჯულებლად. ხოლო თუ ამ უკანასკნელსაც არ დაუჯერებთ, ღმერთი სასწაულს მოგივლენთ და დაგსჯითო. ეს არის მთელი „მოძღვრება" სვანისა. გაათავებს თუ არა „ქადაგებას", მოწყალების ხმით ხელს გაუწვდის მსმენლებს და ფულსა სთხოვს. ხალხიც გულუხვობას იჩენს და თეთრფულს უჩხრიალებს სვანს ხელში.

მაგრამ სვანის ქადაგებით არ გათავდა საქმე. უვიცობას და სოფლის დღევანდელს ვითარებას ალბად კარგი ნიადაგი დაუმზადებია, რომ ასე ხშირ-ხშირად გვეწვევიან ხოლმე სხვა და სხვა ჯურის მქადაგებელნი. გამოჩნდა მეორე „ღვთის-მეტყველი". იგი რაჭველი მწყემსია, მთაში სცხოვრობდა და საქონელს სდარაჯობდა. ჩვეულებადა ჰქონია საქონლის ცემა. დაუშენდა სახრეს, ქვას და როგორც თითონ ამბობს, სანამ თავს არ გაუტეხდა, თავს არ დავანებებდიო. დაბადებიდან ბლუ ვიყავი, ჭკუაზე შერეულიყო. ერთ დღეს, შებინდებისას, როცა ჩვეულებრივად ხარსა ვცემდი, მომევლინა ვიღაცა კაცი, მღვდლის ტანისამოსში. თურმე ღმერთი ყოფილიყო, დაილოცა, შისახსენება! გამაშვებინა ხარი, მიმიხმო თავისთან და მითხრა: „ამოიღე ენა!" მე მაშინვე ვიგრძენი, რომ ენა გამისწორდა და დაბადებიდან ბლუმ თავისუფლად დავიწყე ლაპარაკი. მერე მითხრა—დღეის შემდეგ ხარებს ნუ სცემ, საქონელს და მწყემსობასაც თავი დაანებე, შენ დღეიდან უნდა მწყსო თვით ხალხი, რომელსაც ცოდვების გამო ჯოჯოხეთი უმზადდებაო. ამ „ღვთის-მეტყველის" ქადაგებაც ბოლოს ისევე თავდება, როგორც სვანისა. სამი წლის ბავშვი, ჯორ-ხარი მოევლინება ხალხს და იქადაგებსო. ბევრსა ჰგონია, სვანის სიტყვა ასრულდა, ღმერთმა მეორე მოძღვარი მოგვივლინაო. მშიერი ხალხი თითონ იკლებს და ამ ახლად მოვლენილ მქადაგებლებს აძლევს უკანასკნელს ფასს, რომ „სული დაიფაროს ჯოჯოხეთისაგან".

ი. გ—ია.

—

**ქიზიყი.** შავ-ბნელმა დრომ თავისი ნაყოფი გამოიღო. წინად რა იყო ქიზიყი და ეხლა ხომ მთლად მოდუნებულია ჩვენსკენ საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯის ცემა. ყველგან და ყველაფერში გულგრილობა, უხალისობა, ერთმანეთის გაუტანლობა, შური და მტრობა.

ყველა ამასთან ერთად სამინელი უფულობა, ქასტობაა ჩვენსკენ. ეს გარემოება შეიძლება საერთო კრიზისითაც იყოს გამოწვეული. ასეა თუ ისე, ჩარჩობამ და მევახშეობამ ერთი-ორად უფრო მოიკიდა ფეხი. ღვინს ვედარაფერი გაუყიდნია რიგიან ფასში. აიღეთ წლევანდელი მოსავალი. უნდა ვსთქვა, რომ ქერის სასყიდლად სხვაგნებური იშვიათად მოვა ხოლმე. როდესაც კი მოსულან, მაგ., კახეთის საუფლისწულო გამგეობის მოხელენი, ფუთში შაური—ორი შაური მეტი მიუციათ მაზანდის კვალობაზე. წელს ჩვენებურ ღვინს აქაურმა წვრილ ფეხა მოვაჭრეებმა და მსხვილმა თუქურმიშელმა თათრულმა ფუთ ქერში შვიდი შაური ორი აბაზის მეტი არ მისცეს. ისიც უნდა ითქვას, რომ ქვემო მაჩხანელები, ყარაღაჩის კალოდან ქერს ამ ფასში თავიანთ ურმებით ეზიდებიან თუქურ-

მიშას. სასწორიც ისეთი რთული აქვს თათრებს, რომ თუ არ დახელოვნებული, უბრალო ღლეხი წონის ასავალ-დასავალს ვერ გაუგებს. ღლეხს რასაც ეტყვიან, თავი უნდა დაუკრას, თორემ თუ ერთი სიტყვა შეუბრუნა, პანდურითაც გამოისტუმრებენ.

პურის ხორბლის მაზანდა ხომ მთლად ძირს დაეცეს. ფუთი სამ აბაზად წაიღეს, ე. ი. კოდი ცხრა აბაზ—ორ მანეთად. ასე იყო სანამ თელავის მხმარებლები არ მოვიდნენ ურმებით და პურის მაზანდა კოდი თორმეტ-ცამეტი აბაზი არ გახსნეს...

ღვინის შესახებ ნულარას მეტყვით. აქაურ მედუქნეების და წვრილ-ფეხა ჩარჩების მეტი წელს არავინ მოგვკარებია. ჩვენს თვალს ერთი ხეირიანი სირაჯი არ დაუნახავს; სხვა დროს რამდენნი მოდიოდნენ, წელს კი პირწმინდად გაჰქრნენ. ამ გარემოებით ისარგებლეს აქაურმა მოვაჭრეებმა და თუმცა წელს ძლიერ ნაკლები მოსავალი იყო ღვინისა და მასთან შარშანდელთან შედარებით გაცილებით მეტის ღირსებისა, სულ ჩალის ფასად ინარჩუნებენ ღვინოებს, ღლეხ-კაცს უჭირს და ჰყიდის. სხვაც არა იყოს რა, ეს სამი კვირაა ყველა სოფლის საზოგადოებას უზომო გადასახადის გაწერილი და თუ ამ მოკლე ხანში არ შეიტანენ, ცუდად იქნება მათი საქმე.

მიუხედავად ყველა ამისა, წელს ჩვენებურ ღლეხს სარჩო მაინც აქვს. რაც უნდა იყოს, ჩვენ ის დღე არ დაგვდგომია, რაც დასავლეთ საქართველოს. იქ, როგორც გაზეთებიდან ვიცით, სამი თვის სამუშაო სარჩოც არ მოსვლიათ. კარგი იქნება თითოს ვინმემ ჩვენსკენ ხორბლის შეკრება დაზარალებულთა სასარგებლოდ. იმედი მაქვს ჩვენებური ღლეხი არ დაიშურებს ამისათვის თავისს წვლილს...

X.

## სპარსეთის ამბები

### სპარსეთის ჯარი და გურჯი სერგო.

ასტარაში მივიდა სეპეხდარის თანაშემწის სარდარ-მახის რაზმი, სადაც აფიცრებად არიან სალარ-ფატეჰი, ამი დულ-სალთანი და გურჯი სერგო. არდებილის ოლქში ზღაპრული ხმები გაავრცელეს ამ რაზმზე. ყველა ამ რაზმისაგან მოელის ხსნას.

შახსევენთა რაზმიც 2,000 კაცამდე კარგადაა შეიარაღებული, აქვთ ზარბაზნები და ტყვიის მტყორცნელები. მაგრამ მთავრობის ჯარის მოახლოვებამ მათ შიშის ზარი დასცა. არდებილის ოლქის მცხოვრებნი იმედიანად არიან, მთავრობის ჯარი ახლო ეგულებათ და ეხლა ავაზაკ შახსევენთა მუქარა აღარ აფიქრებს მათ. ხალხი დარწმუნებულია, რომ ავაზაკების ვერაგობასა და თვითნებობას ბოლო მოეღება, ქვეყანა თავისუფლად ამოისუნთქავს, კანონიერება დამკვიდრდება და მშვიდობიანი ცხოვრება შესაძლებელი გახდებაო.

მოწინავე რაზმი დაბანაკებულია არდებილის ახლოს—ათი ვერსის სიშორეზე. ამ გილანელთა რაზმს უფროსობს გურჯი სერგო. 2 ნოემბერს ასტარიდან სალარ-ფატის რაზმი არდებილისაკენ გაემართა. ეს რაზმი უნდა შეუერთდეს გურჯი სერგოს მოწინავე რაზმს.

ასტარაში ხალხი დიდის ამბით შეხვდა მეჯლისის გახსნას. გაიმართა მიტინგები და ილაპარაკეს სპარსეთის დღევანდელს მდგომარეობაზე. დაახასიათეს ის ბნელი ძალები, რომლებიც ჰშხამავენ დღეს სპარსეთის ცხოვრებას. ერთმა ორატორმა სეიდ-ალესკერმა სხვათა შორის შემდეგი სთქვა: „უცხო სახელმწიფოთა ჯარების ყოფნა სპარსეთში უფრო ასუსტებს შინაურ საქმეს და ჰკლავს ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას. სირცხვილია ჩვენთვის, რომ ამ დროს პირად მტრობასა და შუღლს გავყვეთ, მთელი ჩვენი ძალა ამას მოვახმაროთ და ამით თითონ ჩვენვე ხელი შევუწყოთ რეაქციის გაძლიერებას და სამშობლოს დაღუპვას. დროა გონს მოვიდეთ, ძირს მტრობა და შუღლი, გაუმარჯოს სპარსელების ერთობასაო". მთავრობის ჯარმა და რევოლიუციონერებმა განდევნეს შახსევენები, არდები-

დი უკვე ნაციონალისტების ხელშია. გაფარ-ხანი რახიმ-ხანის მარჯვენა ხელი, ბესტში წავიდა, რუსეთის საელჩოში. რახიმ-ხანსაც იმედი გაუცრუვდა. შახსევენებთან უთანხმოება მოუვიდა და მიატოვა იგინი. ყველა დარწმუნებულია რომ სარდარ-მახის რაზმი საბოლოოდ ბოლოს მოუღებს ავაზაკთა თარეშს. სარდარ-მახი ცნობილი მეომარია. ის დიდ მონაწილეობას იღებდა უაზვინისა და თეირანის აღების დროს და ხალხში დიდი სახელი აქვს გათქმული.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** კვირას, რვა ნოემბერს, ქართულ თეატრში გაიმეორეს ჰეერმანის პიესა „იმედის დაღუპვა". ხალხი საკმაოდ დაესწრო. მსახიობნი გულმოდგინედ მოჰკიდებოდნენ პიესას და როლები კარგად შეესწავლათ. საერთოდ მშვენივრად ჩაატარეს პიესა და თამაშმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინ მაყურებლებზე. ადგ-ადგ ოთონ ქართული მსახიობი მეტად კარგი იყო.

—

**ქუთაისი.** 5 ნოემბერს დრამატიულ საზოგადოების დასმა წარმოადგინა ახალი, ქუთაისის საზოგადოებისათვის სრულიად უცნობი პიესა ერნსტ ფონ ვილდენბრუხისა „ქოჩრიანი ტოროლა". თარგმანი ტოროშელიძისა. პიესა კარგი შინაარსის გამოდგა. მისი დედა-აზრი ისაა, რომ „სისულელეა, როდესაც ხანში შესული კაცი, რომელსაც „ფრჩხილებიდან სიბრძნე სცვივა", შეიყვარებს ახალგაზდა ქალს". იშვიათ ღირსებებით შემკულს მდიდარ მექარხნეს ავგუსტ დანგენთალს, კაცს მეტად გულმოწყალეს, პატიოსანს, ნამდვილს „ჯენტლმენს", მხოლოდ ცოტათი ხანაში შესულს, უყვარს თავისი მოსამსახურე, ახალგაზდა ღარიბი ობოლი ქალი ლენა, რომელსაც დედა დაკუტული ჰყავს. წინადადებას აძლევს ლენას, ცოლად გაჰყვეს. ლენას დედა ქ-ნი შმალენბახისა, და ბიძა ალე შმალენბახი, ასეთ ბედნიერების კარზე მდგომის გამო, სიხარულით ცას ეწევიან: დედას იმედი ეძლევა, რომ სიძე სამკურნალო წყლებზე გაჰგზავნის და სენისაგან განიკურნება. ბიძა კი (ავგუსტის ქარხნის მუშაა) იმედოვნებს თავის ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებას. მაგრამ ასე არა ფიქრობს ლენა, რომელსაც უყვარს ახალგაზდა, ღარიბი, ქარხნის მუშა პავლე ილეფელდი. მართალია, ლენას უყვარს ავგუსტი და დიდ პატივსა სცემს, მაგრამ უყვარს, როგორც „ბატონი ავგუსტი", მისი და დედის მოწყალე, კეთილისმყოფელი, და არა როგორც საქმრო, ამხანაგი. არა სურს ავგუსტს წაჰყვეს ცოლად, მაგრამ თავისი უკიდურესი სიღარიბე და განსაკუთრებით დედის სენისაგან განკურნების იმედი თანხმობას განაცხადებინებს.

ლენა ავგუსტის ოჯახში უკვე სასძლოს ადგილს იჭერს. ყველა სიყვარულით, პატივისცემით ეპყრობა. ყველა სცდილობს იმის გამხიარულებას, მაგრამ იმის გულს მხიარულება, ალერსი არ ეკარება- იგი უხერხულად ჰგრძნობს თავს ამ არაჩვეულებრივს მდგომარეობაში. მუდამ მხიარული, მუდამ მოჭიკჭიკე-მონავარდე „ქოჩრიანი ტოროლა" ლენა ძვირფას გალიაში დამწყვდეულ ჩიტს ემსგავსება, რომელსაც ოქროს ჭურჭლით აძლევენ საუკეთესო სასმელ-საჭმელს, ეალერსებიან, ევლებიან, მაგრამ იმის გულს რავითარი ალერსი არ ეკარება: ის მიიწევს ტყისაკენ, რომ თავის საყვარელ ამხანაგებთან თავისუფლად იჭიკჭიკოს, ინავარდოს... ყოველ პატიოსან საშუალებას ხმარობს ავგუსტი რომ ლენას გული მოიგოს; უნდა, ლენასაგან გაიგონოს „მიყვარხარო", მაგრამ ამაოდ. პირიქით, ესმის ლენასგან, რომ მას მუშა პავლე ილეფელდი უყვარს... თავზარი დაეცემა ავგუსტ ამგვარ მოულოდნელ ამბის გაგონებით; თვალებზე ცრემლები მოადგება... მაგრამ მალე გონება სძლევს გრძნობას და ავგუსტი თანხმობას აცხადებს, რომ ლენა გაჰყვეს პავლე ილეფელდს და იცხოვროს მასთან ბედნიერად.

ბიესა საუცხოვო ანსამბლით იქნა შესრულებული. მოთამაშეთა შორის განსაკუთრებულს ყურადღებას იქცევდნენ ვ. გუნია (ავგუსტ დანგენთალი) და ნ. დავითაშვილის ასული (ლენა).

სამწუხაროდ, წარმოდგენას საზოგადოება ნაკლებად დაესწრო და ვერ ისიამოვნა კარგად დადგმულ პიესით. საზოგადოებამ არ იცოდა პიესის შინაარსი.

ხუთშაბათს, 12 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება ა. სუმბათაშვილის „ღალატი".

## რუსეთი

✦ **კიდევ პროვოკატორები.** „ნოვაია რუსი" იტყობინება: პეტერბურგის უნივერსიტეტში გამოკიდულია შემდეგი განცხადება: „პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტთა კრებაზედ გამოირკვა, რომ ამავე ინსტიტუტის სტუდენტები ნეიმანი დამცველ პოლიციაში მსახურებდა და მსახურებს. ამ ნეიმანის სიტყვით პროფესორ სელეზნევის შვილი, სტუდენტი სელეზნევი არა თუ დამცველ პოლიციაში მსახურებს, არამედ პროვოკატორიც არის".

✦ **მემარჯვენეების ახალი ტაქტიკა.** სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენეების ფრაქციას გადაუწყვეტია ყველა საკითხებში მხარი დაუჭირონ მემარცხენეებს. რითი ხელმძღვანელობენ მემარჯვენეები ადვილი მისახვედრია.

✦ **სიყვარულის გამოცხადება.** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ მაკლაკოვს პურიშკევიჩისთვის მიუმართავს. იალტის გენერალ-გუბერნატორ დუმბაძის განკარგულებით იალტიდან ასახლებენ ნაფიც-ვექილ მურავიოვის მეუღლეს. მურავიოვის მეუღლე უდანაშაულოა და დაგვეხმარეთო. პურიშკევიჩს „ბირჟ. ვედ." სიტყვით დუმბაძესთვის შემდეგი წერილი მიუწერია: „ძვირფასო გენერალო! პოლიტიკურმა მტრებმა მომმართეს და მთხოვეს დავეხმარო ქ-ნ მურავიოვისას. მათ პატიოსანი სიტყვით დამარწმუნეს, რომ ქ-ნი მურავიოვისა პოლიტიკურ მოძრაობაში მონაწილეობას არ იღებდა. ამასთან მთხოვეს, დავეხმარო, რომ ქ-ნ მურავიოვისას შეძლება მიეცეს იწამლოს იალტაში. თქვენი მოსიყვარულე პურიშკევიჩი". პურიშკევიჩს შემდეგი პასუხი მიუღია: „ძვირფასო ვლადიმერ მიტროფანის ძევ! მოხარული ვარ, რომ შეძლება მეძლევა თქვენი თხოვნა ავასრულო. თქვენი მოსიყვარულე დუმბაძე".

✦ **ჯარში გაყვანის საქმე.** „რეჩის" სიტყვით იანვარში სახელმწიფო-სათათბიროში მთავრობა შეიტანს კანონ-პროექტს. ამ კანონ-პროექტით ის ახალგაზრდები, რომლებიც სალდათობისაგან თავისუფლდებიან, მოვალენი იქნებიან ხუთი წლის განმავლობაში სახელმწიფოს სასარგებლოდ განსაზღვრული გადასახადი იხადონ.

✦ **ახალი სასამართლო.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, მომავალ წლის პირველ იანვრიდან რუსეთში მოქმედებას დაიწყებს სასამართლო, რომელიც განსაკუთრებით მცირე წლოვანთა საქმეებს გაარჩევს.

✦ **დუელი.** მკითხველს ეხსომება, რომ ოქტომბრისტების ლიდერმა გუჩკოვმა დეპუტატ გრაფ უვაროვს უთხრა: „ნოვაია რუს"-ში კორესპონდენტისთვის გადაგიციათ, ვითომ პრემიერ-მინისტრ სტოლიპინს თქვენთვის ეთქვათ, ოქტომბრისტების მთელი მოქმედება პოლიტიკანობააო. სტოლიპინმა დამავალა გადმოგცეთ, რომ თქვენ საზიზღრად სტყუითო. გრაფმა უვაროვმა წერილი მისწერა სტოლიპინს და სთხოვდა, ნუ ისარგებლებთ თქვენის მდგომარეობით და შეძლება მამეცით თავიდან ავიცილო ეს შეურაცხყოფაო. სტოლიპინმა თავის კანცელარიის დირექტორის შემწეობით უვაროვს მისწერა, ეგ სიტყვები გუჩკოვს მართლა უთხარი და კიდეც ვთხოვე თქვენთვის გადმოეცაო. რაკი ამითი არაფერი გამოვიდა, უვაროვს გუჩკოვი დუელში გამოუწვევია.

✦ **სერებრიაკოვას ქმრის წერილი.** როგორც ვიცით ბურცევმა ამ უკანასკნელ დღეებში გამოაქვეყნა, რომ სერებრიაკოვის ცოლი პროვოკატორი იყოვო. „რუსკ. ვედ." დაბეჭდილია სერებრიაკოვას ქმრის წერილი. სერებრიაკოვი სწერს: ჩემი ცოლი ეს რამდენიმე ხანია უსინათლოა, ამიტომ მას არ შეუძლიან თვალები ადევნოს გაზეთებს და არც შეგვიძლიან გაუმხილოთ ეს ამბავი, რადგან ის ისედაც დაავადმყოფებულია და ეს სულ ბოლოს მოუღებს. რომ ჩემი ცოლი პროვოკატორი და დამცველ პოლიციის აგენტი არა ყოფილა, ამას სასამართლო დაამტკიცებს. მე როგორც ჩემი ცოლის ინტერესების კანონიერი დამცველი სამართალში ვაძლევ ყველა იმ გაზეთებს, რომლებმაც ეს ცნობა მოათავსესო.

✦ **ქ-ნი ფლეიშიცი.** ქ-ნი ფლეიშიცი რუსეთში პირველი ნაფიცი-ვექილი ქალია. როგორც დეპეშიდან ვიცით, ფლეიშიცი ამ დღეებში ერთ საქმის დამცველად გამოვიდა, მაგრამ პროკურორმა პროტეს განაცხადა და სასამართლო მიატოვა. პროკურორის ასეთმა საქციელმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. საქმე იმაშია, რომ პროკურორს სასამართლოს თავმჯდომარის ნება დაურთველად არ შეუძლიან სასამართლო მიატოვოს. საქმეში თვით იუსტიის მინისტრი ჩარეულა. ამბობენ, რომ იუსტიციის მინისტრი წინააღმდეგია, რომ ქალები ნაფიც-ვექილებად იყვნენ.

როგორც მოსალოდნელი იყო პურიშკევიჩს უყურადღებოდ არ დაუტოვებია ეს ინციდენტი. მას „ბირჟ. ვედ." ისეთი შეუწყნარებელი წერილი გაუგზავნია, რომ გაზეთს შესაძლებლად ვერ დაუნახავს წერილის დაბეჭდვა. პურიშკევიჩი სწერდა თურმე, რომ ქალს ფიზიოლოგიურის თვალსაზრისით უყურებს, სხვაფრივ... ამას გარდა პურიშკევიჩს პროკურორ ნენაროკოვისთვის (ამ პროკურორმა განაცხადა პროტესტი) წერილი მიუწერია, მადლობას გიძღვნით, რომ დედაკაცის (ორიგინალში „ბაბა") წინააღმდეგ გაილაშქრეთო.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: რიგაში 2, ხარკოვში 3, ეკატერინოდარში 1, სარატოვში 1, ოდესაში 3, უფაში 1 კაცს. სიკვდილით დაუსჯიათ: რიგაში 1, რეველში 2, პეტერბურგში 1, ოდესაში 1, მოსკოვში 2 კაცი.

## 23 ოქტომბრის

### ვაჭრობა წ. კ. საზოგადოების სასარგებლოდ

ნავაჭრის წილი შემოსწირეს:

14. ილ. აბვრედიანმა და ვას. ბერიძემ—1 მან., 15. ილ. და ქრისტ. გიორგობიანებმა—40 კაპ., 16. მინა მეტრეველმა—50 კაპ., 17. ფილ. ნიკოლაიშვილმა—1 მან., 18. არტემ ლაზარევმა—2 მან., 19. ბაქოელ პარიკმახერების ამხანაგობამ—2 მან., 20. კარლ შუმანმა—2 მან., 21. მელ. ბარაბაძემ—1 მან. 50 კაპ., 22. პიეტრომ—1 მან. 50 კაპ., 23. ირ. ოქროაშვილმა—3 მან., 24. ძმ. ნაუმენკოებმა—8 მან.

## მომგებიან ბილეთების პატრონთა საყურადღებოდ

1910 წელს პირველ იანვარს ვადა გასდის მომგებიან ბილეთების პირველ სესხის უკანასკნელ კურსს, ამიტომ ფინანსთა მინისტრმა ბრძანება გასცა მომგებიან ბილეთების შეცვლის შესახებ. შეცვლის პირობები ასეთია. 1. მომგებიან ბილეთის პატრონს უფლება ეძლევა ბილეთი და ტალონები წლის პირველ დეკემბრიდან წარადგინოს სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში, ხოლო სადაც განყოფილება არ არის, ხაზინაში; 2. რადგან გადაწყვეტილია, რომ მომგებიან ბილეთის პატრონებს ახალი ბილეთი წინანდელი ნომრით [illegible] მების თავიდან ასაცილებლად, ბილეთის პატრონმა ბილეთის [illegible] ზემოთ წააწეროს რუსულად, და თუ რუსული არ იცის სხვა ენებზე, თავისი და მამის სახელი და გვარი. თუ ბილეთის პატრონმა წერა არ იცის, იმის მაგიერ სხვამ უნდა მოაწეროს, მხოლოდ უნდა აღინიშნოს, „რადგან ამან და ამან წერა არ იცის, მისის თხოვნით ხელს ვაწერ ესა და ეს და სხვა"; 3. ყურადღება უნდა მიექცეს, რომ სახელისა და გვარის მოწერის დროს, წარწერა ნომერზე არ მოვიდეს; 4. თუ ბილეთის პატრონი ბილეთს ხაზინაში წარადგენს, ბილეთთან ერთად განცხადებაც უნდა შეიტანოს. განცხადების ბლანკი იქვე, ხაზინაში უფასოდ მიეცემა მსურველს. განცხადებაში უნდა აღინიშნოს ბილეთის და სერიის ნომრები, ხოლო თუ ერთმა კაცმა რამდენიმე ბილეთი წარადგინა, მაშინ რიგზე უნდა ჩაიწეროს ბილეთების და სერიების ნომრები. თუ განცხადებაში რაიმე წაიშალა, ეს უნდა აღინიშნოს და ბილეთის პატრონმა ხელი მოაწეროს; 5. ბილეთების გადაგზავნაში ფასი არავის ჰხდება; 6. იქ, სადაც ხაზინა არ არის, ბილეთი უნდა გაიგზავნოს ფოსტით ან სახელმწიფო ბანკის ტფ. განყოფილებაში, ან პირდაპირ პეტერბურგს, სახელმწიფო ბანკში. ამ შემთხვევაშიაც საჭიროა განცხადება; განცხადებაში უნდა აღინიშნოს ბილეთის პატრონის ნამდვილი ადრესი და ფოსტის ის მახლობელი სადგური, სადაც ფასიან კორესპონდენციების მიღება შეიძლება. საგერბო გადასახადს არავინ იხდის; 7. ახალი ბილეთების მიცემას დაიწყებენ 1910 წლის 15 იანვრიდან. იქ, სადაც ხაზინები არ არის, ბილეთები ფოსტით გაიგზავნება; 8. პირველ ექვსი თვის განმავლობაში ბანკი კისრულობს ყოველნაირ ხარჯს.

საჭიროა, რომ პროვინციებში მცხოვრებნი სწორედ ასე მოიქცნენ და არ დაუჯერონ სხვა და სხვა პირებს. სამაზრო ქალაქებში ბილეთები ხაზინაში უნდა შეიტანონ, ხოლო სადაც ხაზინა არ არის, ფოსტით უნდა გაიგზავნოს.


## განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—4)

---

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლის ყოველ-თვიურ ჟურნალ

# „რუსსკაია მისლი"-ზე.

(«РУССКАЯ МЫСЛЬ»)

გამოვიდა ნოემბრის წიგნი (მეთერთმეტე) შემდეგის შინაარსით: 1. ლექსი კ. დ. ბალმონტისა; 2. „მკვდარი ტალღა", რომანი ი. ძირტოვისა; 3. „ბედნიერი პერი", რომანი ჰენრიკე პონტოპიდონასი, თარგმანი დანიურით მ. პ. ბლაგოვეშჩენსკაიასი; 4. „Vita somnium breve", რომ. რ. კარდო გუხისა, თარგმანი გერმანულით ე. ს. ხოხლოვას მიერ; 5. „მ. თ. რომანოვის არჩევა სამეფო ტახტზე", ვ. პ. ალექსეევისა; 6. „ინგლისელ მუშე ის ცოლები და ქალები", პ. გ. მიჟუევისა; 7. „ტ. კარლეილი და რ. ემერსონი", ნ. ი. აბრამოვიჩისა; 8. „პოეტი-მოხელე" (პოეზია ვ. გ. ბენედიქტოვისა) სადოვსკისა; 9. წერილი ინგლისიდან „ბრძოლა მიმძილთან", ს. ი. რაპოპორტისა; 10. „ახალი რუსული ტრაქტატი პოლიტიკურ ეკონომიის თეორიიდან", ვლ. დიმიტრიევისა; 11. „უდოლ-ტეხილზე არჩევნები", ა. ს. იზგოევისა; 12. „ლომბროზო", ე. მ. კულიშერისა; 13. მიმდინარე საკითხები შინაური ცხოვრების: ა) „საერთო პოლიტიკური მდგომარეობა", პეტრე სტრუვესი; ბ) „1910 წლის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის პროექტი", ლ. ნ. იასნოპოლსკისა; გ) „მოსავალი და კოლ მ-რაცია", ვას. გოლუბიევისა; დ) „რა იქნება და რას მოგვცემს განზრახული დაზღვევა მუშებისა", სევერიასინისა; 14. „სათეატრო შენიშვნები", ა. გიზივეტერისა; 15. „უცხოეთის პოლიტიკა", ლ. ი. გალპერშტადტისა; 16. ბიბლიოგრაფ. განყოფილება.

მიიღება ხელის მოწერა 1990 წლის ჟურნალზე.

ხელის მოწერის პირობები:

| | ერთი წლით. | 9 თვით. | 6 თვით. | 3 თვით. | 1 თვით. |
|---|---|---|---|---|---|
| გაგზავნით | 12 მან. | 9 მან. | 6 მან. | 3 მან. | 1 მ. |
| საზღვარ გარედ. | 14 | 10 მ. 50 კ. | 7 მ. | 3 მ. 50 კ. | 1 მ. 25 კ. |

ხელის მოწერა მიიღება და ცალკე ნომრები იყიდება მოსკოვში: ჟურნალის კანტორაში, ვოზდვიჟენკა, ვაგანკოვის შესახვევი, კუმანინის სახლი, „ზვენო"-ს „ობრაზოვანიე"-ს, მ. ო. ვოლფისა და კარბასნიკოვის წიგნების მაღაზიებში; პეტერბურგში კარბასნიკოვის და ვოლფის წიგ. მაღაზიებში და წიგნის საწყ. „პრავო"-ში. ვილნოსა და ვარშავაში ნ. პ. კარბასნიკოვის წიგ. მაღაზიაში; კიევში—ნ. ი. ოგლობლინის წიგ. მაღაზიაში; ოდესაში—„ტრუდ."-სა „ოდესკაია ნოვოსტი"-ს წიგნის მაღაზიებში.

ჟურნალ „რუსკაია მისლის" გამოცემანი: ა. ა. კორნილოვი—„საზოგადოებრივი მოძრაობა რუსეთში ალექსანდრე მეორის მეფობის დროს", ფასი 1 მან. 25 კაპ. ყდით 1 მ. 50 კ. ზ. გ. ფრენკელი—„ზოლერა და ჩვენი ქალაქები", ფასი 15 კ. იბეჭდება და ნოემბერში გამოვა შემდეგი წიგნები: ვილიამ ჯემსისა—„მრავალ სახიანობა სარწმუნოებრივ ცდაში"; ა. ს. იზგოევი—„რუსეთის საზოგადოება და რევოლიუცია". (1—1)

---

მიიღება ხელის მოწერა 1910 წ.

# „ზადუშევნოე სლოვო"

(ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО)

ორი ყოველ-კვირეული ნახატებიანი ჟურნალი მოზრდილთათვის და ყრმათათვის, დაარსებული ს. მ. მაკაროვის მიერ. გამოდის პ. მ. ოლხინას რედაქციით.

**ხელის მოსაწერი წელი 1 ნოემბრიდან 1909 წ.—პირველი №-ი დაუყოვნებლივ იგზავნება.**

წლიური ხელის მომწერნი „ზ. სლ." **მცირე წლოვანთათვის** (5-დან 9 წ-მდე) მიიღებენ 52 NN და 48 საჩუქარს, სხვათა შორის: კედლის სურათს „Ничья" აკად. ხარლამოვისა; 12 ახალ თამაშობას და გასართობს ფერად და შავ ფურცლებზე; 12 წიგნაკს: ამბებს, მოთხრობებს და ზღაპრებს; 12 რვეულს „Дневникъ Мурзилки", „Маленькій русскій натуралистъ", თამაშობას „Стенка-растрелка" და სხ. სხ.

წლიური ხელ. მომწერნი „ზ. სლ." **მოზრდილთათვის** (9-დან 14 წლამდე) მიიღებენ 52 NN და 48 საჩუქარს, სხვათა შორის: აკვარელ. სურათს „Подайте слѣпому"; 12 მხატვრ. წ. ამბებს, მოთხრობებს და პიესებს, ყრმათათვის 8 რვეულს „Книги знамен. людей"; 6 რვეულს „Голубая волна",—ლ. ა. ჩარსკისა; „Библ. юнаго натуралиста"; მოსწავლეთა კალენდარს ჩასაწერ ფურცლებით და სხ. სხ.

ამას გარდა ყოველ გამოცემასთან გაიგზავნება: „Задушевное воспитаніе" და „Дѣтскія моды"; ხელის მოსაწერი ფასი ყოველ გამოცემისა „Задушевн. слов.", ყველა გამოცხადებული საჩუქრებით და დამატებანით, გაგზავნით და მიტანით,—წელიწადში **ექვსი მანეთი.** შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც 3 ვადაზე: 1. თავში, 2. თებერვალს და 3. 1-ლ მაისს ორ-ორი მან. ადრესი (გამოცემის აღნიშვნით): „Задушевное слово", კანტორები ვოლფის ამხ. წიგნის მაღაზიებთან—მოსკოვში: 1) Кузнецкій Мостъ, 12; ან 2) Моховая ул., 22. (3—უ.—1)